# საქართველოს რესპუბლიკა



ⴈⴋⴈⴑⴇⴀⴌⴀ ⴜⴋⴈⴌⴃⴀ ⴑⴀⴕⴋⴄⴘⴈ, ⴐⴍⴂⴍⴐⴈⴚ ⴁⴄⴝⴃⴓⴐⴈ ⴑⴈⴒⴗⴅⴀⴀ, ⴒⴗⴓⴈⴊⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴝⴍⴐⴄⴁⴈⴇ ⴁⴄⴐⴇⴈⴑ ⴂⴀⴚⴀⴌⴀ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴓⴉⴀⴃⴐⴈⴑⴍⴁⴀⴆⴄ ⴓⴑⴀⴛⴀⴂⴊⴄⴑⴈⴀ.



დაარსებულია 1918 წელს.



პარასკევი, 4 მაისი, 2007 წელი.

№ 85 (5686)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


დისკუსია

## მოვლენებს მკითხველი აფასებს



8-9

## სინამდვილეზე მიუკერძოებლად უნდა ვმსჯელობდეთ...

*ზოგიერთს ვერ გაუგია და შეუძულებია სიტყვა – დიქტატურა. არსებობს სახელმწიფო, იარსებებს დიქტატურაც. სახელმწიფოს კარგი მმართველი ის არის, რომელიც შემოიღებს ხალხის ნებით მიღებული კანონის დიქტატურას. მე უარვყოფ პიროვნების დიქტატურას, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება ის, რომ დღეს, როგორც არასდროს, ჩვენ გვჭირდება კანონის დიქტატურა.*

SIC!

3

## ბოდიში რომ ტკივილს შველოდეს...



ვაიდან – უიმდე

4

## „ისტორიული ვალები“,



**ანუ ლამის ფოლკლორად ქცეული საუკუნის საანაბრო ფიასკო**

## პრეზიდენტი აფხაზეთში დაკავებული სტუდენტების მშობლებს აიმედებს

სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტი აფხაზეთში დაკავებული სამი ქართველი სტუდენტის მშობლებს შეხვდა. მიხეილ სააკაშვილი ივერი ყორშიას, ლევან ღარჭავასა და კობა რიგვავას მშობლებს პრობლემის დროულად მოგვარებას დაჰპირდა. პრეზიდენტმა სტუდენტების მშობლებთან საუბრისას აღნიშნა, რომ ქართულ მხარეს არც ერთი წუთით ყურადღება არ მოუდუნებია და უკანონო პატიმართა პრობლემის მოსაგვარებლად აქტიურად მუშაობს.





7

## „ნეტავი მამა მყოლოდა და, რამდენიც უნდოდა, ვეცემე“

დადგინდა, რომ საკრებულოს გაცილებით იმაზე მეტი მანქანა ჰყავს, ვიდრე კანონით არის განსაზღვრული. შესაბამისად, ამდენჯერვე მეტ საწვავს მოიხმარს და მეტ ფულს ხარჯავს ბიუჯეტიდან. მხოლოდ 2006 წლის პირველ ნახევარში ასეთი გზით გახარჯულია 2800 ლიტრი ბენზინი, რითაც ბიუჯეტმა 63 ათასი ლარით იზარალა



№ 85. პარასკევი. 4 მაისი. 2007 წელი.

ჟურნალისტური გამოძიება

# კობა სუბელიანს და ლევან კოპლატაძეს სასამართლოში უჩივლებენ

ამ დღეებში ჟურნალისტთა სახლში „ახალი 7 დღისა" და „ევრაზიის ფონდის" ერთობლივი პროექტის „ჟურნალისტური გამოძიება – მუნიციპალური ბიუჯეტის მეტი გამჭვირვალობისთვის" – პრეზენტაცია გაიმართა. ჟურნალისტებთან ერთად, მასზე მოწვეული იყვნენ, ნაციონალური და ოპოზიციური პარტიების წევრებიც, თუმცა, თბილისის საკრებულოს მიერ ბიუჯეტის არასწორი ხარჯვით პოლიტიკოსები დიდად არ დაინტერესებულან, რადგან, პრესის წარმომადგენლების გარდა, იქ არავინ მისულა. შესაძლოა, ამის მიზეზი ამ პროექტის მიერ გამორკვეული ის ერთ-ერთი საკითხი გახდა, რომლის თანახმადაც, საკრებულოს დეპუტატები (უმრავლესობაც და ოპოზიციაცძ, წლების განმავლობაში, თურმე, უკანონოდ იღებდნენ სოლიდურ ხელფასს – 1500 ლარს, რაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევაა და 2003-2005 წლებში ბიუჯეტი 1815 ლარით დაზარალდა.

აღნიშნული პროექტი ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა და ჟურნალისტურმა გამოძიებამ 2001-2006 წლებში თბილისის საკრებულოს მიერ გახარჯული ბიუჯეტი მოიცვა. მასალების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ახლანდელი ხელისუფლება წინა ხელისუფლებას ფინანსების არამიზნობრივ ხარჯვაში ტოლს არ უდებს. ამ „სიკეთესთან" ერთად, ხელისუფალნი არც გამჭვირვალობის კანონის დარღვევას ერიდებიან და ინფორმაციის გაცემაზე უარს ამბობენ. ჟურნალისტების განმარტებით, კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა კობა სუბელიანმა უარი ცინიკურად განაცხადა: „არ გაძლევთ ინფორმაციას და სასამართლოს მიმართეთ რამდენჯერაც გენებოთ". მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობისგან კი მთელი წლის განმავლობაში პასუხი ვერც ერთ შეკითხვაზე ვერ მიიღეს. სამაგიეროდ, ჟურნალისტებთან საუბარზე დაბალი რანგის მოხელეებს უარი არ უთქვამთ და მეტროში შექმნილი მძიმე ავარიული მდგომარეობა გააცნეს მათ. „ენაგრძელობის" გამო, მატარებლის მემანქანე გააგდეს. არადა, იგი 6 შვილის ერთადერთი მარჩენალი იყო.



**თბილისის საკრებულოს უკანონო ხელფასები ორ წელიწადში 815 ათასი ლარი გვიჯდება, ხოლო მობილურებით ლაქლაქი წელიწადში – 21600**

გამოკვლევების შედეგად, 2006 წლის მუნიციპალურმა ბიუჯეტმა 31 მილიონ 750 ათასი ლარით დააფინანსა მიწისქვეშა ტრანსპორტის სარემონტო და განმაახლებელი სამუშაოები. ჟურნალისტები ამბობენ, რომ ხელისუფლება ტყუის, როცა ამ სამუშაოების წარმატებით დასრულების შესახებ საზოგადოებას ამცნობს – სამუშაოები მხოლოდ ქაღალდზეა შესრულებული, უმეტეს შემთხვევაში, ზედაპირულად, ვიზუალური ეფექტისათვის...

მსჯელობა იყო შარშანდელი ბიუჯეტიდან ქალაქის ქუჩების მოასფალტებისთვის 120 მილიონი ლარით დაფინანსებაზე. დღეს რომ მართლაც „გზების მშენებლობის" ბუმია, ამაზე არვინ დაობს, თუმცა, ექსპერტების მტკიცებით, სამუშაოები იმდენად იაფფასიანი და უხარისხოა, რომ მაქსიმუმ 6 თვეში ასფალტი ხელახლა დასაგები გახდება, რისთვისაც თანხები ხელახლა გადაირიცხება. ეს კი ვის წისქვილზე ასხამს წყალს?..

ნაგვის ნარჩენების გატანის საფასური მოსახლეობას გაუორმაგდა, თუმცა არ „გაორმაგებულა" ქალაქის სისუფთავე. 2006 წელს ამ მიზნით 26 მილიონი ლარი გამოიყო (წელს – უფრო მეტიძ ქალაქის ბევრი უბანი ისევ ანტისანიტარიულ მდგომარეობაშია და ნაგავსაყრელებიც არ არის დაკონსერვებული.

ასევე, გაირკვა, რომ არასწორი პრივატიზების შედეგად, ამ წლების განმავლობაში ბიუჯეტს 15 მილიონამდე ლარი დააკლდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ობიექტები საწყის საპრივატიზებო ფასზე გაცილებით იაფად, თითქმის მუქთად იყიდებოდა. მაგალითად, შპს „გეორგ ფლაუერსის" საპრივატიზებო ობიექტი, პროცედურის გვერდის ავლით და მერიის იურისტების ხელშეწყობით, ხელში ქართველ პოლიტიკოსთა და ბიზნესმენთა ერთმა ჯგუფმა ჩაიგდო.

დადგინდა, რომ საკრებულოს გაცილებით იმაზე მეტი მანქანა ჰყავს, ვიდრე კანონით არის განსაზღვრული. შესაბამისად, ამდენჯერვე მეტ საწვავს მოიხმარს და მეტ ფულს ხარჯავს ბიუჯეტიდან. მხოლოდ 2006 წლის პირველ ნახევარში ასეთი გზით გახარჯულია 2800 ლიტრი ბენზინი, რითაც ბიუჯეტმა 63 ათასი ლარით იზარალა.

არანაკლები ჯდება დეპუტატების მობილური სატელეფონო მომსახურება. ისინი ამისთვის ყოველთვიურად 150 ლარს იღებენ, რაც ბიუჯეტს წელიწადში 21600 ლარი უჯდება, ხოლო 6 წელიწადში ამ ციფრმა 129600 ლარი შეადგინა. კანონით კი, საკრებულოს დეპუტატების სატელეფონო მომსახურების ბიუჯეტიდან დაფარვა არ უნდა ხდებოდეს.

პროექტის დირექტორმა ლია ტოკლიკიშვილმა აღნიშნა, რომ ყველა ამ საგამოძიებო პუბლიკაციას, სადაც კონკრეტული ხელისუფლების პირების დანაშაულის ნიშნებია გამოვლენილი, პროკურატურას გადაუგზავნიან, ხოლო „მეტროპოლიტენის" ხელმძღვანელის ლევან კოპოლატაძისა და მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის კობა სუბელიანის ქმედებებს უახლოეს ხანში სასამართლოში გაასაჩივრებენ.

**ლელა მანაველიშვილი**

აზრთა გაზიარება

# რუსულენოვან გამოცემებს მკითხველი აკლია

**გუშინ სააგენტო „რია ნოვოსტიში" საქართველოში მომუშავე რუსულენოვანი გამოცემების წარმომადგენლებმა, სახელდობრ, ჟურნალების: „პოდრუგას", „რუსკი კლუბის", გაზეთების: „კომსომოლსკაია პრავდას", „ვეჩერნი ტბილისის", „სვობოდნაია გრუზიას", „ზარია ვოსტოკას" და „ეხო დაიჯესტის" რედაქციების ხელმძღვანელებმა რუსულენოვანი „ეხო დაიჯესტის" პრესის პრობლემებზე იმსჯელეს.**




აღმოჩნდა, რომ მათი საერთო პრობლემა მკითხველის სიმცირეა, შესაბამისად კი პატარა ტირაჟი (არაუმეტეს, 3 ათასისაძ და მცირე ხელფასები. დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რუსული გამოცემები ნაკლებად ერევა და წერს სკანდალებზე, საზოგადოებას კი ძირითადად ასეთი წერილები აინტერესებს. ამიტომ საჭიროა ყველა გამოცემა ჩაერთოს ინტერნეტში და მისი საშუალებით გაირკვევა, ვის რა დონის მკითხველი ჰყავს და რა თემებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი.

„სვობოდნაია გრუზიას" რედაქტორმა ტატო ლასხიშვილმა აღნიშნა: „ეს რუსულენოვანი მასმედიის წარმომადგენლების პირველი შეკრებაა. რუსების გარდა, ჩვენ გაზეთებს კითხულობენ ქართველებიც, ამიტომ აუცილებელია, რომ რუსული გამოცემები თავისი შინაარსით ქართული იყოს. ვიმსჯელეთ სარეკლამო ბაზის ჩამოყალიბებაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ მედიის საშუალებებმა თავიანთი ბრენდი შეინარჩუნოს."

მონაწილეები საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ საქართველოში მცხოვრები რუსების მიერ დაარსებული ორგანიზაცია „ოტჩიზნა" საზოგადოებას გამოჰკითხავს, რა მოსწონს ან რა არ მოსწონს რუსულ გამოცემებში, ხალხის აზრის გათვალისწინებით კი რედაქციები სწორედ იმ თემებზე იმუშავებენ, რაც მკითხველს აინტერესებს.

დისკუსიის მონაწილეების თქმით, ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა მკითხველი მიიზიდონ. ვნახოთ, როგორ მოახერხებენ ამას.

**ლელა კახიანი**

ინფორმაცია

## ნოღაიდელი საშობლოში ხვალ დაბრუნდება



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი საქართველოში ხვალ დაბრუნდება. ამის თაობაზე ინფორმაცია გუშინ ჟურნალისტებს ვიცე-პრემიერმა გიორგი ბარამიძემ მიაწოდა.**

**მისი განცხადებით, პრემიერ-მინისტრი მომავალი კვირიდან უკვე თავისი მოვალეობების შესრულებას შეუდგება.**

**არსებული ინფორმაციით, პრემიერს ამერიკაში ყოფნისას არ შეუწყვეტია საქმის წარმოება და ის განკარგულებების გაცემას იქიდან აკონტროლებდა.**

## სტუმარი ვიცე-პრემიერის რანგში მიიღო

**სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე ვიცე-პრემიერის რანგში გუშინ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს მასაკაძუ სეკიგუჩის შეხვდა.**



**როგორც შეხვედრის შემდეგ გიორგი ბარამიძემ აღნიშნა, საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებასა და განვითარებას.**

**– საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია იაპონური ინვესტიციების განხორციელება სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად და სიღარიბის დასაძლევად. გარდა ამისა, საუბარი შეეხო ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების განმტკიცებას და საქართველოში იაპონიის საელჩოს გახსნას, აგრეთვე, კონფლიქტების დარეგულირების საკითხში იაპონიის მხარდაჭერას, – აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.**

**იაპონელი სტუმრის განცხადებით, საქართველო იაპონიისთვის ძალიან მიმზიდველი სახელმწიფოა, როგორც დემოკრატიის, ასევე ანტიკორუფციული რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით.**

**ინტერპრესნიუსი**

**რუსების მხარდაჭერით გადიდგულებული აფხაზი სეპარატისტები (და არა აფხაზი ხალხი!) აბუჩად იგდებენ ქართველთა სამართლიან მოთხოვნებს და ყოველდღიურად ძარცვავენ, ფულის გამოძალვის მიზნით იტაცებენ გალელ გლეხებს, „ქართველობაში შემჩნეულ“ ინტელიგენციას, სტუდენტებს... ბევრ მათგანს დაუნდობლად ხვრეტენ კიდეც**



SIC!

*თბილისის ჰაინრიხ ბიოლის ფონდის (შეგახსენებთ, რომ ასეთი ფონდი რამდენიმე წლის წინათ დამკვიდრდა ჩვენში) სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს დირექტორმა ვალტერ კაუფმანმა მორიგი ოთხშაბათის დისკუსია (2 მაისი, 2007 წ.) თავისებური მოზოდიშებით დაიწყო: ჩვენ მხოლოდ კითხვა დავსვით, ქართველებმა უნდა მოუხადონ თუ არა ბოდიში აფხაზებს? ზოგიერთმა დევნილმა და აფხაზეთის პრობლემით დაინტერესებულმა ქართველმა ეს შეკითხვა, ჩემი აზრით, არასწორად გაიგო და ფონდის კეთილშობილური წამოწყების ლანძღვა-გინებას მიჰყო ხელი. აქაოდა, თქვენს ორგანიზაციას არავინ არ იცნობს და ქართველი ხალხის სახელით საუბრის უფლება ვინ მოგცათო... მინდა გჯეროდეთ, რომ საქართველოში ბიოლის ფონდის თანამშრომელთა მიერ მსგავსი დისკუსიის წამოწყება ახალგაზრდა ქართული დემოკრატიის წინგადადგმული ნაბიჯია. ბოდიშს მხოლოდ ძლიერი იხდის, აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და აფხაზებთან შერიგების გზების ძიება, მიტევება და დათმობა, უპირველესად თქვენ, ქართველებს გმართებთ, რადგანაც ვერ მოახერხეთ ამ პროვოკაციული ომის თავიდან აცილება...*

# ბოდიში რომ ტკივილს შველოდეს...

**რეპლიკა დარბაზიდან:**

— ეს არ იყო ომი აფხაზების წინააღმდეგ. ეს იყო რუსეთის პროვოკაცია და რუსეთის იმპერიის ომი საქართველოს ტერიტორიების მისატაცებლად...

— სწორედ ამიტომ გვჭირდება ასეთი დისკუსიის, გნებავთ, დიალოგის დაწყება. მე ამაყი ვარ, რომ საქართველოში დღეს ეს შესაძლებელია. სამწუხაროდ, რუსი „მშვიდობისმყოფელებით“ დაშანტაჟებულ აფხაზებს ეს არ ძალუძთ...

**მანანა დარჯანია, ჟურნალისტთა ასოციაცია „პოსტფაქტუმის“ თავმჯდომარე:**

— ბოდიში რომ მოსახდელი გვაქვს, ამას ომის პირველ დღეებშივე მივხვდი. მე, სოხუმში გაზრდილი ჟურნალისტი, დღეს დევნილი, ჩემს მეგობარ რიგით აფხაზებს, მაშინვე ვუხდიდი ბოდიშს ამ ძმათამკვლელი ომის წამოწყებისთვის... საომარი მოქმედება ხომ ჩვენ დავიწყეთ, ბოდიში სჭირდება ომის შედეგებით განადგურებულ ჩვენს საზოგადოებას...

**წამოძახილი დარბაზიდან:**

— ომი დაიწყო მოღალატე შევარდნაძის და რუსეთის აგენტ არძინბას შეთანხმებით, ვითომ რკინიგზის დასაცავად... ომი დაიწყო ლიხნის ცნობილი წერილის შემდეგ... ომი დაიწყო 1989 წლის ზაფხულში ვოვა ვეკუას შემზარავი მკვლელობით...

**უჩა ნანუაშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის წარმომადგენელი:** — ჰაინრიხ ბიოლის ცენტრმა ერთობ გამომწვევი, მაგრამ საჭირო კამპანია — „ჰათამზაიტ“ — „ბოდიში“ წამოიწყო... რუსულ-ქართული დაპირისპირების უპერსპექტივო ქაოსში ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ უფრო დიდმა და ძლიერმა საქართველომ ბოდიში უნდა მოუხადოს აფხაზეთს და აფხაზებს... მსგავსი რამ კარგად იცის კაცობრიობის ისტორიამ. ყველამ ვიცით, როგორ მოუხადეს ბოდიში გერმანელებმა პოლონელებს, ფრანგებს, ჩეხებს და ა.შ., ჩვენ მივიღეთ და ინტერნეტსაიტზე განვათავსეთ მიმართვა აფხაზი ხალხისადმი, რომელიც ქრისტიანული მიმტევებლობით გამოირჩევა და ორმხრივი დიალოგისკენ, მონანიებისკენ, შერიგებისკენ, მშვიდობისთვის, აფხაზებისთვის, ქართველებისთვის ლოცვისკენ მოგვიწოდებს.



**გოგა ხაინდრავა, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში:** — ბოდიშის მოხდა თითოეული ჩვენგანის პირადი საქმეა. ომით სოხუმში შესვლა არამცთუ ჩვენი შეცდომა, არამედ უდიდესი დანაშაული იყო... რუსების მიერ დაგებულ ხაფანგში ისე გავებით, 15 წელიწადზე მეტია საქართველო და ქართველი ხალხი საშინლად ვიტანჯებით. 300 000 დევნილს მრავალ კითხვაზე პასუხი ჯერაც არ მიუღია. მე იმ აზრს ვემხრობი, რომ შეცდომები უპირველესად საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ. თავზე ფერფლს ნუ წავიყრით, მაგრამ აფხაზებისკენ მისასვლელი გზები ყოველდღიურად უნდა ვეძებოთ. ერთმანეთთან სინანულის გრძნობით უნდა მივიდეთ... ნამდვილად მსიამოვნებს, რომ ჩვენში ასეთი დისკუსია დაიწყო, აფხაზები ამას, გასაგები მიზეზების გამო, ვერ დაიწყებდნენ...

**ნოდარ ნათაძე, პროფესორი, „სახალხო ფრონტის“ ლიდერი:** — პრიმიტიულად ნუ ვმსჯელობთ. ყმაწვილურ დონეზე შეფასება იდიოტობაა, ომი მართლაც შევარდნაძე-არძინბას ვირეშმაკული შეთანხმებით დაიწყო, თუმცაღა, ყველაფრის თავი და თავი რუსეთის იმპერიაა. რუსეთმა ჯერ კიდევ აფხაზთა მუჰაჯიროზის დროს ჩაიფიქრა საქართველოსთვის ამ მხარის ჩამოცილების გეგმა და ჩვენი ბედოვლათობით, მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლოს მიაღწია ამას. „სახალხო ფრონტს“ აქვს აფხაზეთის დაბრუნების კონკრეტული გეგმა, მაგრამ ყურს არავინ გვიგდებს. ფაქტებს თუ არ მოვუხმეთ, აფხაზებსა და ქართველებს შერიგების კონკრეტული მიზანი თუ არ დავუსახეთ, არაფერი გვეშველება...

**გულიკო ურუშაძე, იურისტი, აფხაზეთიდან დევნილი:** — ისე ლაპარაკობთ, თითქოს არ იცოდეთ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების დღევანდელი განწყობა საქართველოს მიმართ. სულ რაღაც ერთი კვირის წინათ თქვა სერგეი შამბამ: იმდენს ვახერხებდით, რომ ყოველ 10 წელიწადში ერთხელ კარგად დაგეგმილი ბუნტი წამოგვეწყო ქართველების წინააღმდეგ. მიზანს მივაღწიეთ და აგრესორი ქართველები მოვიშორეთ, შერიგებაზე ლაპარაკი ზედმეტია, აფხაზეთი არასოდეს გახდება საქართველოს ნაწილი!!! ხედავთ, როგორი განწყობაა. ამიტომაც ბოდიშის მოხდას არავითარი აზრი არა აქვს. ეს საქართველოს ყოფილმა დოყლაპია ხელისუფლებამ და პირადად ედუარდ შევარდნაძემ უნდა მოუხადოს ბოდიში ქართველ ერს და თვითონ აფხაზეთის მშვიდობიან მოსახლეობასაც...

**ნინია კაკაბაძე, ჟურნალისტი:** — სხვათა შორის, შევარდნაძემ, მგონი, მოიხადა კიდეც ბოდიში, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. აწი მას რა უნდა მოვკითხოთ. მე ანგელოზივით ბიძაშვილი, ირაკლი ამირეჯიბი და რამდენიმე მეგობარი მომიკლეს აფხაზეთში, მაგრამ... ჩემს წილ ბოდიშს მაინც ვუხდი იმ აფხაზებს, რომლებიც ჩვენსავით გამწარდნენ და მორალურად განადგურდნენ.

**ნოდარ ბარბაქაძე, აფხაზეთის ომის ვეტერანი:** — ხალხო, გაიგეთ, ეს იყო რუსეთის ომი საქართველოს წინააღმდეგ და აფხაზებისთვის ბოდიშის მოხდა წყლის ნაყვა იქნება, მით უფრო დღეს, როცა გაიძვერა რუსეთი ყველაფერს აკეთებს აფხაზების და აფხაზეთის მისაკუთრებისთვის.

**გურამ გოგბაიძე: ეროვნული თავისუფლების პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:** — ბოდიშის მოხდით ჩვენ ვაღიარებთ ეთნოკონფლიქტს და არა რუსეთის მიზანმიმართულ ომს საქართველოს ტერიტორიების მისატაცებლად. არც ერთ ჩვენგანს ბოდიში მოსახდელი არა გვაქვს... ნორმალური ხელისუფლება რომ გვყავდეს, ლუსტრაციის კანონს დროულად მიიღებდა და მაშინვე გამოჩნდებოდა ვინ ვისი მსახური იყო, ვინ — მოღალატე და ვინ — ჭეშმარიტი მამულიშვილი.

**რუსუდან მარშანია, არასამთავრობო ორგანიზაციის — „პირისპირ“ გამგეობის წევრი:** — ჩემი ღრმა რწმენით, მიზეზების ძებნას უკვე აზრი არა აქვს. ქართველებს თუ გსურთ აფხაზეთი დაიბრუნოთ, რეალური შერიგებისკენ რეალური ნაბიჯები უნდა გადადგათ. მეც არაერთხელ გამიგია, რომ ძლიერი იხდის ბოდიშს და თანამიმდევრულად ფიქრობს ძმათა შერიგებაზე. მართალია, ჩვენს დისკუსიას დიდი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყვება, მაგრამ... თუნდაც რამდენიმე აფხაზი რომ შემოვირიგოთ, ესეც საქმეა...

**ივლიანე ხაინდრავა, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:** — ზოგიერთი ლაჩარი და მოღალატე პოლიტიკოსისგან განსხვავებით, მე ჩემს წილ პასუხისმგებლობას ვიღებ გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ეროვნული მოძრაობის, გამსახურდიას ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებზე და ბოდიშს ვუხდი ტანჯულ ქართველ და აფხაზ ხალხებს, რომ რუსების მიერ თავსმოხვეული ძმათამკვლელი ომი თავიდან ვერ ავიცილეთ!

* * *

**ძირითადად ასეთი იყო კამპანია „ჰათამზაიტ“ — „ბოდიშის“ წამომწყებთა მორიგი შეხვედრის მთავარი დედააზრი. რა თქმა უნდა, დარბაზში ხშირად ისმოდა ურთიერთშეურაცხმყოფელი, სერიოზული კამათისთვის შეუფერებელი გამოთქმებიც, მაგრამ... სამი საათის განმავლობაში არავის მოსვლია აზრად, რომ ვიდრე უცხოური ფონდები მსგავს შეხვედრებს აფინანსებენ, დრო ულმობლად გვაშორებს რეალობასთან.**

**რეალობა კი მართლაც შემზარავია: რუსების მხარდაჭერით გადიდგულებული აფხაზი სეპარატისტები (და არა აფხაზი ხალხი!) აბუჩად იგდებენ ქართველთა სამართლიან მოთხოვნებს და ყოველდღიურად ძარცვავენ, ფულის გამოძალვის მიზნით იტაცებენ გალელ გლეხებს, „ქართველობაში შემჩნეულ“ ინტელიგენციას, სტუდენტებს... ბევრ მათგანს დაუნდობლად ხვრეტენ კიდეც. რუსმა „მშვიდობისმყოფელებმა“ კი „უსაფრთხოების მიზნით“ ბეტონის უზარმაზარი ფილები გუშინწინ ენგურის მხარეს 15 მეტრით გადმოსწიეს...**

„ქართვლის ჭირსა ვერვინ მოთვლის“... არადა, XXI საუკუნე კარგა ხანია დაიწყო...

**სპარტაკ ქობულია**

პროტესტი

# ხელისუფლებას მოსახლეობის დამონება სურსო

**გუშინ „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ პრესკონფერენცია გამართა თემაზე: „საყოველთაო ფინანსური ამნისტია ხალხს“. მისი თქმით, პენსიონერი, რომელსაც 38 ლარი აქვს, გაზრდილ გადასახადს ვერ გადაიხდის. უფრო მეტიც. სახელმწიფოს მიერ წლების განმავლობაში დაგროვილ ვალებს ხალხი არ უნდა იხდიდეს. ბაღათურიას აზრით, დენის დავალიანება დაახლოებით 400 მილიონიდან — 450 მილიონამდეა, რაც თითოეულ მოსახლეზე 1000 ლარს ნიშნავს. ამიტომ აუცილებელია ამნისტია. „თუ მძიმე დანაშაულის ჩამდენ პატიმარს შეიძლება შეეხოს ამნისტია, რატომ არ შეიძლება მოსახლეობას დენის გადასახადზე შეეხოს ფინანსური ამნისტია? „ხელისუფლება თავის მოსახლეობას ძალლებივით ექცევა და ცდილობს მონებად აქციოს“, დაასკვნა მან.**

**მთავრობამ დიდი ხნის წინათ გაყიდა ხეტყე უცხოელ ინვესტორებზე, მათ კი გლეხებს ფიჩხის მოგროვებაზე — 275 ლარი, ხოლო მორწყვაში 70 ლარი გადასახადი დაუწესეს. ამის გადახდას გლეხი ვერ შეძლებს. ამიტომ იგი იძულებული იქნება, თავისი სახლ-კარი სახელმწიფოს მიჰყიდოს და მონად იქცეს.**

**მაია კილასონია,**
**მირანდა ფორჩხიძე**

## ვაიდან შიმდე

**კრიზისს, ჩვენში, ამასთანავე, ფულის ნიშნების გამოცვლისა და სავალუტო ინდექსაციების ხასიათის სამთავრობო „ლონისძიებებიც“ დაერთო. რა თქმა უნდა, ძნელია იმის მტკიცება, რომ მთავრობას მთლიანად გაცნობიერებული ჰქონდა, რასაც სჩადიოდა. ეს, უბრალოდ, აგონიის წლები იყო**



### ნეტარ არიან მორწმუნენი

# „ისტორიული ვალები“,

## ანუ ლამის ფოლკლორად ქცეული საუკუნის საანაბრო ფიასკო

*... ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს.*

*ილია მართალი*

ამას წინათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდს ვათვალიერებდი. 2007 წლის ბიუჯეტის „სახელმწიფო ვალების“ ნაწილში ყურადღება მიიპყრო საშინაო ვალებში ე.წ. „ისტორიული ვალების“ სახელწოდებით 677,1 მილიონი ლარის „საორიენტაციო მოცულობით“ დაფიქსირებულმა თანხამ.

რა არის ეს 677,1 მილიონი ლარის „ისტორიული ვალები“? მით უფრო, რომ მისი არც სტრუქტურა და არც „ისტორიული“ ბიუჯეტში (ყოველ შემთხვევაში, კომპიუტერულ ვერსიაში) განმარტებული არ არის?

თუმცა ამას რა დიდი მიხვედრა უნდა — ეს ხომ საქართველოს მოსახლეობის შრომითი ფულადი დანაზოგებია, რომლებიც საბჭოთა დროინდელ ანაბრებსა და სახელმწიფო ობლიგაციებში იყო „შენახული“ და 90-ანი წლების დასაწყისშივე გაუფასურდა, შემდგომ კი ვითომ ჰიპერინფლაციას „შეეწირა“. წურც ის დაგვავიწყდება, რომ სწორედ მაშინ მყისიერად გამოიჩეკა მრავალი „ახალი ქართველი“.

არადა, საქართველოს მოსახლეობამ ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში თავის 4 მილიონ 535 ათას საანაბრო წიგნაკზე „შენახული“ 27 მილიარდ 250 მილიონი მანეთი დ ა კ ა რ გ ა (ეს 1993 წელს მოხდა), რაც მაშინდელი კურსით 10 მილიარდ 730 მილიონი დოლარი გახლდათ, ეს კი ლარის შემოღების დროისთვის (1995 წლის სექტემბერი) 13 მილიარდ 949 მილიონი ლარია!! საქართველოს კანონით „სახელმწიფო ვალის შესახებ“ (1998 წ. 12 მაისი) ანაბრების ინდექსაციით წარმოშობილი ეს დავალიანება სახელმწიფო შიდა ვალშია აღებული.

ეს ერთი.

ასევე სახელმწიფო ვალშია აღიარებული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისადმი სახელმწიფოს მიერ აღებული სავალო ვალდებულებები 87 მილიონი ლარის ოდენობით.

ეს მეორე.

სახელმწიფოს შიდა ვალშია ჩათვლილი მუნიციპალურ საწარმო „თბილტრანსში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინით დაუკმაყოფილებლობით წარმოქმნილი 7,9 მილიონი ლარის დავალიანება.

ეს მესამე.

ასევე შიდა ვალში ითვლება სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების დაფარვის ვალდებულება 7,8 მილიონი ლარი და სახელმწიფოს სხვადასხვა ვალები მოსახლეობისადმი (1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით, სახელმწიფო ლატარიაში მოგებული ნივთების გაუნაღდებლობით წარმოქმნილი დავალიანებები და სხვ.) 2,2 მილიონი ლარი, მთლიანად 10,1 მილიონი ლარი.

ეს მეოთხე.

ამრიგად, მთლიანად სახელმწიფოს შიდა ვალი უშუალოდ მოსახლეობისადმი 14 მილიარდ ლარს შეადგენს (2000 წ 1 იანვრის კურსით).

ანალოგიური ვალი სახელმწიფოს სხვაც ბევრი აქვს, მაგალითად, ასეთივე სხვადასხვა ვალდებულება იურიდიული პირებისადმი. ყველა ეს ვალდებულება „ისტორიული ვალია“.

„პატივცემულმა სახელმწიფომ“ კი გადასახდელად აღიარა, როგორც დასაწყისში მივუთითეთ, მხოლოდ 677,1 მილიონი ლარი, ანუ რეალური ვალის დაახლოებით ხუთი პროცენტი. ამასთან, ამ თანხაში, ალბათ, იგულისხმება ზემონახსენები დავალიანებები იურიდიული პირებისადმი და სხვა შიდა საგადასახადო ვალდებულებებიც.

ასე რომ, **უშუალოდ მოსახლეობისთვის გასაცემი ვალის** კონკრეტული ოდენობა ბიუჯეტით მაინც არ არის გარკვეული.

ბიუჯეტში ჩაწერილი სიტყვა **„საორიენტაციო“** კი იმან განაპირობა, რომ 1990 წლიდან დღემდე იმდენჯერ მოხდა ინდექსირება-გადათამაშება ამ საბჭოთა ანაბრებსა და ობლიგაციებში შენახული მილიარდობით მანეთისა — რუბლში (იმ წლებში „ხისას“ რომ ვეძახდით), რუბლისა — კუპონში და, დასასრულ, კუპონისა — ლარში, რომ **დღეს რეალურად „არავინ“ უწყის მოსახლეობისადმი სახელმწიფოს მაშინდელი ვალის ნამდვილი სიდიდე.** ბუნებრივია, რომ აღნიშნული მონაცემები თითქოს იმ ავადსახსენებელი ინდექსაციების გარეშეა გათვლილი, მაგრამ მაინც ასევე **მთლიანად საორიენტაციოა.**

**მართალია, საქართველოს კანონში „სახელმწიფო ვალის შესახებ“ მითითებულია, რომ მოსახლეობისადმი სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვა უნდა მოხდეს საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის №№-716 და 717 ბრძანებულებების შესაბამისად, მაგრამ თუ დღეს ამ დოკუმენტებში ჩადებულ მოსაზრებებსა და მეთოდურ მიდგომებზე დავეყრდნობით, მოსახლეობას, რომ იტყვიან, „კაპიკები“ დაურიგდება.**

წარსული, მით უფრო არასასიამოვნო, დროის მანძილზე დავიწყებას ეძლევა. მოსახლეობის მთავარი დაზარალებული (გაძარცვული და გაღატაკებული) ნაწილი თანდათან „ტოვებს არენას,“ ხოლო ისინი, ვინც ამ წარსულით ფრიად მოგებული დარჩნენ და იმ ქაოსურ 90-იან წლებში ზღაპრული სიმდიდრე დააგროვეს (ახალ ქართველებს ვგულისხმობთ) — სიამოვნებით უწყობენ ხელს წარსულის მივიწყებას! მით უფრო, რომ ამაში მათ ახალგაზრდული ასაკიც ხელს უწყობთ და, შესაძლოა, სამი-ოთხიოდე წლის მანძილზე აღზევება დამსახურებულადაც კი მიაჩნიათ.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ შვიდირვა წლის წინათ, არასამთავრობო ორგანიზაციის „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ ახალგაზრდა თანამშრომლებმა (გ. ბარბაქაძე, გრ. ფანცულაია) ამ „ისტორიული ვალების“ საკმაოდ „მძიმე“ საკითხები სათანადო გულმოდგინებითა და შემართებით გამოიკვლიეს და საინტერესო ანალიტიკური წერილებიც გამოაქვეყნეს კიდეც ცენტრის ჟურნალ „ბიულეტენში“ (1998 წ. №11 და 1999 წ. №28).

ეს საკითხები არც ჟურნალისტებს დაუტოვებიათ უყურადღებოდ და 2001-2003 წლებში ქართულ საზოგადოებაში სახელგანთქმული მრავალი ეკონომისტ-ექსპერტის მოსაზრება-შეხედულებები „გამოამზეურეს“ გაზეთებში („ალია“, „დრონი“, „24 საათი“, „დილის გაზეთი“, „ქრონიკა“ და სხვ.).

**მერე რა? ვის რა დაბრალდა ან ვინ რაში ამხილეს? არავის არაფერიც არ დაბრალებია და არც არავინ არაფერში არ უმხელიათ!**

ისტორიიდან, სამწუხაროდ, იმის არც ერთი მაგალითი არ არსებობს, რომ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება „სუფთა ხელებით“ და ლეგალური გზებით ჯერ არსად და არასდროს მომხდარა. ითქვა, რომ უპრიანი იქნებოდა, თავდაპირველი დაგროვების ყველა შედეგი დაკანონდეს, თუმცა ეს, ამავე დროს, დაუსჯელობის სინდრომის დამკვიდრებაც იქნება. მაგრამ რას ვიზამთ, სხვა გზა არ არისო(?). ამასთანავე, **ყველა ექსპერტმა ერთხმად აღიარა, რომ ხალხის კუთვნილი მილიარდების „გაქრობაში“ დამნაშავე ის ავბედითი ჰიპერინფლაციაა, მოვლენა, რომელიც უმართავია და რატომღაც ყველგან, უპირატესად ღარიბი ხალხის მასებს კიდევ უფრო აღატაკებს, რომ თითქოს საბჭოთა ანაბრების გაუფასურებასა და თანხების მითვისებაში ჩვენს ბანკებს და მათ მესვეურებს მონაწილეობა არ მიუღიათ! რომ იმ წლებში გამდიდრებულ პირებს ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან არანაირი შეხება არ ჰქონიათ(?!). ერთ-ერთმა ახალმა ქართველმა ისიც განაცხადა, ღმერთმა ქნას, ყველგან და ყველაფერში ისეთი სუფთა ვიყო, როგორც ამ საქმეში და მზად ვარ ჩემი „სისუფთავის“ დასადასტურებლად ხატზე დავიფიცოო. თან იქვე მოუწოდა, გვეყო, ამაზე ლაპარაკი უნდა მორჩესო!**

**და მოხდა სასწაული! მის შემდეგ კანტი-კუნტად და აქა-იქ, თორემ არსებითად ამ თემაზე ლაპარაკი მართლაც შეწყდა! წარმოიდგინეთ, რომ ეს „საუკუნის საანაბრო ყაჩაღობა“ ჩვენს თვალწინ ლამის ეკონომიკურ ფოლკლორად იქცა!**

**როდის მიიღებენ ცოცხლად დარჩენილი მეანაბრეები თავიანთ კუთვნილ, თუნდაც ამ განამცეცებულ თანხას?**

**„ნეტარ არიან მორწმუნენი...“**

დიახ, „ნეტარ არიან“, რადგან საქართველოს **მთლიანი** საშინაო სახელმწიფო ვალი, რომელიც 2000 წლის დასასრულს 1 მილიარდ 498 მილიონ ლარს შეადგენდა, 2007 წლის მიწურულს თითქმის ისევ იმავე დონეზე — დაახლოებით მილიარდ 490 მილიონი ლარი დარჩება. საგარეო ვალი კი ამ ხნის განმავლობაში 249 მილიონი ლარით გაიზრდება და 2007 წლის ბოლოს 2 მილიარდ 977 მილიონ ლარს მიაღწევს. ამასთან საყურადღებოა, რომ ქვეყნის ბიუჯეტმა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის მანძილზე დეფიციტს თავი ვერა და ვერ დააღწია, დღეს კი იმის მადლობელიც უნდა ვიყოთ, რომ 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში „ისტორიული ვალების“ სახელწოდებით შიდა ვალების შემადგენლობაში მთელი მისი ბრწყინვალებით, 677,1 მილიონი ლარი ფიგურირებს, თუმცა იგი, კვლავ ვიმეორებთ, ნამდვილი ვალის — 14 მილიარდი ლარის — მხოლოდ ერთი ნამცეცა ნაწილია — ხუთ პროცენტამდე. ამასთან, იმასაც გავიმეორებთ, რომ საერთოდ უცნობია ამ თანხიდან უშუალოდ მოსახლეობისათვის გასაცემი სახსრების ოდენობა.

მისი შევსების წყარო კი რეგულარულად უცხო სახელმწიფოთა სესხებია, აგრეთვე ეროვნული ბანკის კრედიტები და სხვა შიდა წყაროები. 2007 წელსაც 365,5 მილიონი ლარის დეფიციტის დაფარვის წყაროდ 166,2 მილიონი ლარის საგარეო კრედიტები(!) და 199,3 მილიონი ლარის ქვეყნის შიგნით არსებული თავისუფალი(?) საბრუნავი სახსრებია მიჩნეული.

**ამ, აშკარად გამოხატული უკიდურესად დაძაბული საბიუჯეტო სტრუქტურისა და უარყოფითი საგარეო ვაჭრობის ბალანსის პირობებში საბრალო „ისტორიული ვალებისათვის“ სახელმწიფოს (ჩვენს ქვეყანას ვგულისხმობ) ფიქრის საშუალებაც არ რჩება..**

საგარეო ვაჭრობა ვახსენეთ, რომელიც ყველა სხვა თანაბარ პირობებში ქვეყნის ყულაბის შევსების ძირითადი წყაროა. ჩვენი რეგისტრირებული ექსპორტი 2003-2006 წლებში, მართალია, 2,1-ჯერ გაიზარდა, მაგრამ იმპორტი მნიშვნელოვნად უფრო სწრაფად იზრდება — იგი 3,2-ჯერ გადიდდა. ამის გამო საგარეო ვაჭრობის **უარყოფითი** სალდო (იმპორტის გადამეტება ექსპორტზე) 2003 წლის 680 მილიონი ლარიდან 2006 წელს თითქმის ოთხჯერ — 2,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა, რაც აშკარად იმაზე მიუთითებს, რომ **ჩვენ თითქმის ყველაფერს ვყიდულობთ უცხოეთიდან და, ასევე, თითქმის არაფერს არ ვყიდით(!!), რადგან არსებითად გასაყიდიც არაფერი გვაქვს (ჯართს და პრივატიზაციას არ ვგულისხმობ). გარეგნული ხმაურის მიუხედავად სამამულო ეკონომიკა, ფაქტობრივად, თვლემს. ლუდი და კოკა-კოლა ეკონომიკა არ არის! ეს ჩვენს საშინაო ბაზარსაც აშკარად ეტყობა!**

**ასეთ პირობებში მართლაც როდის მიიღებენ ჩვენი საბრალო მეანაბრეები თავიანთ კუთვნილ და საშინაო ვალებში დაკონსერვებულ განამცეცებულს თანხებს?**

**ამიტომ კვლავ ვიმეორებთ: „ნეტარ არიან მორწმუნენი!!!“**

**ამირან გაბისონია**

*P. S. ყოველივე, რაც ზემოთ ითქვა, თუ ვინმეს ან რაიმეს ბრალია, კაცმა რომ თქვას, ყველაფერი ჩვენი უკულმართი წარსულიდან მოდის. იმან, რაც ჩვენში 90-იანი წლების დასაწყისში მოხდა, მოსახლეობას თავზარი დასცა და არსებობის სახსარი წაართვა (ფინანსური კრიზისი, ინფლაცია), კაპიტალისტურ სამყაროში კრიზისის სახით ციკლურად, ჟამიდან ჟამზე მეორდება და მოსახლეობის (მდიდრისაც და ღარიბისაც) სიმდიდრის გადანაწილებას და გაღატაკებას იწვევს. ჩვენ ხომ ამჟამად ასეთ საზოგადოებას ვამკვიდრებთ!*

*საბჭოთა ეკონომიკიდან „მოსულ“ ჩვენს მოსახლეობას, უბრალოდ, ანაბრებსა და ობლიგაციებში განთავსებული საკუთარი ფულადი სახსრების ინფლაციისაგან დასაცავად არავითარი დამცავი მექანიზმი არ გააჩნდა. ამ ფულად ქონებას — სახელმწიფოს გარდა არავინ აზღვევდა, სახელმწიფო კი თავის ეკონომიკიანად დაიშალა. სსრ კავშირის დახურულ ეკონომიკაში ასეთი დაზღვევაც კი არ იყო საჭირო. ყოველ შემთხვევაში, მოსახლეობა ამის საჭიროებას არ გრძნობდა.*

*კრიზისს, ჩვენში, ამასთანავე, ფულის ნიშნების გამოცვლისა და სავალუტო ინდექსაციების ხასიათის სამთავრობო „ლონისძიებებიც“ დაერთო. რა თქმა უნდა, ძნელია იმის მტკიცება, რომ მთავრობას მთლიანად გაცნობიერებული ჰქონდა, რასაც სჩადიოდა. ეს, უბრალოდ, აგონიის წლები იყო. მაგრამ ამით ხელისუფლებასთან და საბანკო სისტემასთან დაახლოებულ პირებს მყარი ვალუტით მსხვილი ფულადი მასის ხელში ჩაგდების მანიპულაციის შესაძლებლობა მიეცათ. უბრალოდ, ყოჩაღებმა იყოჩაღეს!*

*ისიც გავიხსენოთ, რომ სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია ქვეყანაში, პირველ რიგში, საბანკო სისტემის კომერციულ (ე.ი. კერძო) ბანკებად გარდაქმნით დაიწყო, რომლებშიც რესპუბლიკაში არსებული ფულადი რეზერვები გადანაწილდა და განკერძოვდა(!).*

*ამას დაერთო ეკონომიკის მოშლით გაპირობებული სავალუტო შიმშილი, მთავრობის მიერ უცხოეთის იაფზე-იაფი (წლიური 0,5-1.5 პროცენტად) სესხების საგრძნობი ნაწილის კომერციული ბანკებისთვის გაცემა, ბანკების მიერ კი კრედიტების მაღალი განაკვეთებით გასესხება და ამ გზით მოკლე დროში დიდი მოგების მიღება და ა.შ. (საყურადღებოა, რომ ბანკების მეშვეობით საქართველოში სერიოზული, ე.წ. კაპიტალური ეკონომიკა არ განვითარებულა ანუ ბანკები დიდი ოდენობის გრძელვადიან სესხებს არ იძლევიან, უპირატესობას ურისკო მოკლევადიან სესხებს ნიჭებენ. სხვა სიტყვებით, კაპიტალისთვის პატრიოტული გრძნობები უცხოა).*

*ასე გადანაწილდა საბჭოთა ანაბრებსა და ობლიგაციებში განივთებული მოსახლეობის ფულადი სახსრები და ასე გაჩნდნენ (ცხადია, არა მარტო ამ გზით) სამ–ოთხ წელიწადში გამდიდრებული „ახალი ქართველები“.*

*ჩვენ მოსახლეობისადმი არსებული ვალების საკითხს ვეხებით, თორემ 90-იან წლებში გამდიდრების, ალბათ, სხვა ათასერთი საშუალებაც არსებობდა.*

*მართალია, სახელმწიფომ კი იკისრა სავალუტო ინდექსაციების სავალალო შედეგების ნაწილობრივი (?) კომპენსაცია, მაგრამ არავინ იცის, ეს როდის და რა ვადაში განხორციელდება. ღმერთმა ჰქნას, რომ მას ამის შესაძლებლობა მოკლე დროში მიეცეს!*

*თუმცა, ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციის თანახმად შპს „თბილტრანსის“ მძღოლთა ბინების სანაცვლოდ, 2006 წლის ბიუჯეტიდან გადარიცხულია ერთი მილიონი ლარი და სრულად დაკმაყოფილებულია 35 ოჯახი, ერთმა ოჯახმა კი კუთვნილი თანხის ნაწილი მიიღო (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2007 წლის 24 აპრილი). მადლობა ღმერთს!*

№ 85. პარასკევი, 4 მაისი, 2007 წელი.

# ყოფა

● ისეთი წვრილმანი პრობლემების გამო, როგორიც გახლავთ ენერგეტიკასა და სხვა სფეროებში მოკალათებულ ჩინოვნიკთა მიერ ხალხის აბუჩად აგდება, ოჯახებისთვის სინათლის თვითნებურად გამორთვა, მასობრივი უმუშევრობა, შიმშილი, სილატაკე, საკუთრების უფლების ხელყოფა და სხვა, კარგად ვიცი, ჩვენს სახელმწიფოს არავითარი საშიშროება არ ემუქრება

◎ დღის ჭირბოროტი



# ჩვენ მარად მოციმციმე შუქურა ვართ!

***აბა, როგორ, სულ მაჩანჩალები ხომ არ ვიქნებოდით, გვეყო რასაც ვბჟუტავდით შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში. მორჩა, დამთავრდა, ისტორიას სამუდამოდ ჩაბარდა ის ქვეყნისა და ხალხის მტანჯველი ხანა. ახლა საქართველო, რომელმაც უკან მოიტოვა წარმატებული რეფორმებისა და დემოკრატიული აღმშენებლობის სწორუპოვარი წლები, პლანეტას უკვე მოევლინა შუქურა სახელმწიფოდ.***

***ეს ფაქტია და მას ვერსად გავექცევით. რაც უნდა გულზე ეკლად დაესოთ, ამას გვერდს ვერ აუვლიან ქვეყნის ოპოზიციური ძალებიც, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას მეშუქურეობას რატომღაც ტრაბახად და შარახვეტიობად უთვლიან.***

***მარტო ოპოზიციას კი არა, სხვაც ბევრი მოიძებნება საქართველოში, რომელსაც ქვეყნის ახალგაზრდა პრეზიდენტის ბაქიბუქისა არ სჯერა, მაგრამ როცა ამავე შეფასებას იმეორებენ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების აღიარებული ლიდერები, კაი ბიჭი ხარ და აბა გაუჯიუტდი!***

მე პირადად, მაგალითად, დიდად ნასიამოვნები, შეიძლება ითქვას, აღფრთოვანებულიც კი დავრჩი, როცა ინგლისის პრემიერმა, ბატონმა ტონი ბლერმა თავის სამშობლოში ვიზიტად მყოფ ჩვენს პრეზიდენტს ღიმილით აუწყა: ვიცი, საქართველომ ბოლო წლებში დიდ წარმატებებს მიაღწია, მოხარული ვიქნები თუ ამ შუქურა ქვეყანასთან ინგლისის ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება და განმტკიცდებაო.

ხედავთ, გავიფიქრე, ინგლისს უხარია სააკაშვილის ხელისუფლებასთან თანამშრომლობა და ამ ნათელაშვილსა და ბაღათურიას რაღა ეშმაკი შეუჩნდათ, რომ ხალხს საყოველთაო აქციებზე გამოსასვლელად, ხოლო მთავრობას გადადგომისაკენ მოუწოდებენ (?!).

ამის გაფიქრება და ბინაში დენის გამორთვა ერთი იყო. კიდევ კარგი, ინგლისის პრემიერის აზრის მოსმენა მოვასწარი, თორემ ხომ შეიძლებოდა, ოპოზიციისთვის დამეჯერებინა და მეორე დღეს მეც ქუჩის დემონსტრანტთა რიგებს შევერთებოდი? კიდევ კარგი!

ჰოდა, ავდექი და ინგლისური (უფრო ადრე, ამერიკული) ქებით ფრთებშესხმულმა მეაქციეთა ნაცვლად გლდანში სააქციო საზოგადოება „თელასის" აბონენტთა მომსახურების ცენტრს მივაკითხე. მითხრეს, მაგ საკითხზე, რაც თქვენ გაინტერესებთ, პასუხს ექსპლოატაციის უფროსი ავთანდილ დოკვაძე გაგცემთო და მეც მას მივადექი.

**— ბატონო ავთანდილ, — ვეუბნები, — ვცხოვრობ მუხიანის დასახლებაში, პირველი მიკრორაიონის მეცამეტე კორპუსში...**

— ვიცი, ვიცი, რაც მოხდებოდა, — მაწყვეტინებს, — ფული გექნებოდათ გადასახდელი და დენს გამოგირთავდნენ.

**— არა, რას ბრძანებთ, დენის საფასურს ყოველთვის დათქმულ ვადაზე 4-5 დღით ადრე ვიხდი. აი, ნახეთ (ქვითრებს ვაწვდი), ამ წლის იანვარში 148 ლარი გადავიხადე, თებერვალში — 120, მარტში — 118, აპრილში — 107.**

— რატომ ამდენი დღით ადრე? — დაინტერესდა.

**— იმიტომ, რომ შეშინებული ვარ. თუ ასე არ მოვიქეცი, ფული „თელასის" ანგარიშზე ვერ მოხვდება, თქვენი მუშაკები კი პირდაპირ ჩასაფრებული არიან — მომენტს ნახავენ თუ არა, მაშინვე გამოგრთავენ.**

— რას გეუბნებიან, რატომ ვერ ხვდება ჩვენს ანგარიშზეო?

**— მაგას მე მეკითხებით? მუხიანში, დუმბაძის პროსპექტზე (კორპუსი №5) თქვენი უწყების მოლარეები დახარჯული ენერგიის საფასურს იღებენ, ქვითარსაც იძლევიან, მაგრამ დათქმულ ანგარიშზე ფული დროულად ვერ ჯდება.**

— იმათ კომპიუტერები ხომ უდგათ?

**— მეც ეგ არ მიკვირს? ამ კომპიუტერიზაციის ეპოქაში ისეთი რა გაჭირდა, რომ მუხიანიდან გლდანში ფულის მოსვლას 4-5 დღე უნდება?**

— ვერ გეტყვით, ეგ საკითხი ჩემს კომპეტენციაში არ შემოდის.

**— აი, რაც შემოდის, იმაზე რას მიპასუხებთ?**

— თუკი დამიკონკრეტებთ...

**— რატომაც არა, აი, მაგალითად, 30 აპრილს საღამოს 8 საათზე დენი გამოირთო და ღამის პირველ საათამდე აღარ მოსულა.**

— ეტყობა, რაღაც დაზიანდა.

**— კი მაგრამ, რაღა ყოველთვის პირველ მიკრორაიონში ზიანდება? თვე ისე არ გაივლის, ზუსტად ამ დროისათვის 2-3-ჯერ მაინც შუქი არ ჩაქრეს. ირგვლივ, მეორე და მესამე მიკრორაიონები გაჩახჩახებულია, ჩვენ კი წყვდიადში ვსხედვართ.**

— მერე, ცხელ ხაზზე რატომ არ რეკავთ?

**— დარეკეთ რამდენიც გინდათ, ის თქვენი ცხელი ხაზი ჩვენთვის ყოველთვის გაყინულია — ან დაკავებულია, ან ყურმილს არავინ იღებს.**

— რას იზამთ, დაზიანებებს ვერავინ გაექცევა, იგი ქალაქის ხან ერთ უბანს ეწვევა, ხან მეორეს. ამ საქმეზე მორიგე ბრიგადები მუშაობენ და აღადგენენ.

**— მაგრამ დაზიანებული უბნის მცხოვრებთ იმის საშუალება ხომ მაინც უნდა ჰქონდეთ, რომ ინფორმაცია მიიღონ — რა ვადაში აღუდგენენ სინათლეს.**

— დაზიანებული ხაზის აღსადგენად მათ 48 საათი ეძლევათ, თქვენთან თუ ღამის პირველ საათისთვის აღადგენენ ხოლმე, ესე იგი სასაყვედუროც არაფერი გაქვთ, — დამამშვიდა დოკვაძემ.

**— აი, თქვენი მინისტრი კი სხვანაირად ლაპარაკობს.**

— რომელი მინისტრი?

**— რომელი და გილაური (განა რამდენი მინისტრი გყავთ!). მის სატელევიზიო გამოსვლებს არ უსმენთ? ხშირად ტრაბახობს — მოსახლეობის და საწარმო-ორგანიზაციების ელექტროენერგიით 24-საათიან მომარაგებას მივაღწიეთ, თუ რაიმე სერიოზული ავარია არ მოხდა, დენი უმიზეზოდ აღარავის შეუწყდებაო.**

— მერე?

**— მერე ისა, რომ მინისტრი ერთს ლაპარაკობს, რეალობა კი — მეორეს. ჩვენ თუ ფულის გადახდა გვაგვიანდება, მაშინვე ხაზს ჩაგვიჭრიან, „თელასს" კი როცა მოეპრიანება, დენს მაშინ გამოგვირთავს, თანაც მიზეზსაც არ აგვიხსნის. თუ მატერიალურ და მორალურ ზიანს არ აგვინაზღაურებთ, ბოდიში მაინც მოგვიხადეთ, თქვე მამაცხონებულებო!**

ეს ისე ვთქვი გულის მოსაფხანად, თორემ როდის იყო „თელასი" მომხმარებელს ზარალს უნაზღაურებდა ან ბოდიშს ვინმეს უხდიდა. მან „ვარდების რევოლუციის" შემდეგაც კი ჩართვა-გამორთვაზე მეტი ვერაფერი ისწავლა!

მერე რა, ისეთი წვრილმანი პრობლემების გამო, როგორიც გახლავთ ენერგეტიკასა და სხვა სფეროებში მოკალათებულ ჩინოვნიკთა მიერ ხალხის აბუჩად აგდება, ოჯახებისთვის სინათლის თვითნებურად გამორთვა, მასობრივი უმუშევრობა, შიმშილი, სილატაკე, საკუთრების უფლების ხელყოფა და სხვა, კარგად ვიცი, ჩვენს სახელმწიფოს არავითარი საშიშროება არ ემუქრება. საქართველომ სრულიად დამსახურებულად მოიპოვა მსოფლიოში შუქურა სახელმწიფოს იმიჯი და მის ავტორიტეტს ბეწვსაც ველარავინ გააგდებინებს!

**ოთარ ხუციშვილი**

◎ გზა პროფესიისკენ

# ცინცხალი ნიჭითა და ფანტაზიით

**„კოსმოსში გაფრენის წინ", „კოსმოდრომი", „გაქრომა ცისარტყელის ქვეშ", „მომავლის აეროპორტის დიზაინი", „ქართველი კოსმონავტები კოსმოსში", „საერთაშორისო აეროპორტი", „ხომალდი მთვარეზე", „გალაქტიკის დაპყრობა", „მე და სამყარო"... ამის და სხვა იდეის და მცირე ტექნიკური მოწყობილობათა ავტორები მოსწავლეები არიან... უსაზღვროა მათი ოცნება, ასევე ტექნიკურად გამართულია მათ მიერ დამზადებული მოძრავი მოდელები... ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც მოსწავლე ახალგაზრდობის ტექნიკური შემოქმედების ცენტრის მუშაობას გაეცნობა (დირექტორი დავით უგულავა). აქ ბევრი რამ კეთდება ტექნიკით დაინტერესებული 1200 მოსწავლისათვის. გვესაუბრება დირექტორის მოადგილე ბორის რობაქიძე:**

— მოსწავლე ახალგაზრდობის ტექნიკური შემოქმედების ცენტრში რაც კეთდება, ამათ არც რეკლამა აქვს (თანხა არ გაგვაჩნია. პედაგოგთა ხელფასები ძალზე დაბალია და არც პროპაგანდა ეწევა) ტექნიკით გატაცებული 1200 მოსწავლე ჩვენთან დედაქალაქის ყველა კუთხიდან დადის და უკვე საერთაშორისო შეჯიბრებებშიც მონაწილეობს. ჩვენთან მუშაობს ავიამოდელიზმის, გემთმოდელიზმის, მხატვარ დიზაინერთა, კომპიუტერული ცენტრი (40 კომპიუტერი დგას) და ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ ენების ტექნიკური ტერმინოლოგიის შემსწავლელი 80-მდე წრე მუშაობს. ყოველივეს აფინანსებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ჩვენს ცენტრს მალე სახელი შეეცვლება და იგი დაწყებითი პროფესიული განათლების ცენტრად გადაკეთდება.

სულ ახლახან ჩატარდა ჩვენი მოსწავლეების საჩვენებელი გა-







მოსვლები რიყეზე. ავტომოდელისტთა ჩემპიონატის მეორე ტური გაიმართა წრიულ რბოლაში (ელექტროძრავიანი მანქანები) საუკეთესონი იყვნენ თორნიკე ჩარგეიშვილი, დათო ქვრივიშვილი, დათო ქართველიშვილი, ხოლო შიდაწვის ძრავიან მანქანებში გამარჯვებულები გავიდნენ თამაზ ჭეიშვილი, ლექსო ობრაშვილი და არტურ ოსიპოვი. არტურმა შესვენების დროს ახლად აწყობილი თვითმფრინავი წარმოადგინა, რომელმაც საპილოტაჟო ილეთები შეასრულა. ფიგურულ რბოლაში პირველად გოგონებიც გამოჩნდნენ.

მოდელების ავტორებს უკვე აქვთ პილოტების, მექანიკოსების და მძღოლების პროფესიული უნარ-ჩვევები. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სიგელებით, ფასიანი საჩუქრებით და პრიზებით, რომელიც ტექნიკის მოდელისტთა ფედერაციამ და კამპანია „ვისოლმა" დააწესა (ამჟამად რიყეზე გამართულ შეჯიბრებებში გამარჯვებულთაგან 6 მოსწავლე ავტომექანიკოსთა საერთაშორისო შეჯიბრებაზეა გაგზავნილი). შეჯიბრების მონაწილეებმა შემდეგ ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში გადაინაცვლეს, სადაც დიზაინერთა კონკურსი მოეწყო თემაზე: „ასაფრენი მოედანი". ამ კონკურსზე წარმოდგენილ 500 ნამუშევრიდან 200 საუკეთესო შეირჩა და კატალოგში განთავსდა. ნამუშევრებში აქცენტი სწორედ ტექნიკურ დეტალებზე იყო გამახვილებული.

სულ ახლახან გამოვაცხადეთ ბიენალე „ტექნოგონი-2007". უკვე ნამუშევრებიც მივიღეთ, მოდის მასალები ინტერნეტითაც. ბიენალეს მიზანია ტექნიკის მოყვარულ რაციონალიზატორული და გამომგონებლური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა-წახალისება, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება. ბიენალეს პირველი ეტაპი 2007 წლის 1 თებერვლიდან დაიწყო და 1 მაისამდე გაგრძელდა. ეს ტექნიკური იდეების კონკურსი იყო.

სიახლეა ისიც, რომ ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე ტექნიკის მოყვარულ ბავშვთა ქალაქი შენდება. იგი თბილისის მერიის მიერ გამოყოფილ 7 ჰექტარ მიწაზე განლაგდება, აქ იქნება ავტოსარბიელი მოედანი, სასწავლო სამეცნიერო ლაბორატორიები, საგამოფენო დარბაზი და სხვადასხვა პროფესიის შემსწავლელი ტექნიკური კაბინეტები, აქვე ჩატარდება მოკლევადიანი და გრძელვადიანი კურსები. მოკლევადიანი სკოლადამთავრებულთათვის, გრძელვადიანი კი მე-7 — მე-10-კლასელთათვის. ძირითადად აქ მოხდება ავტოტექნიკოსების, მექანიკოსების, მძღოლების, ავიომექანიკოსების, დიზაინერებისა და სხვადასხვა პროფილის შემდუღებლების, დურგლების მომზადება. ტექნიკის მოყვარულთა ბავშვთა ქალაქშიც მოეწყობა საერთაშორისო ტურნირები.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოზარდ თაობაში ქუჩური მენტალიტეტის აღმოფხვრის გზების ძიებაშია... ამ საქმეში სათანადო წვლილის შეტანა შეუძლია სკოლისგარეშე დაწესებულებას. სკოლის შემდეგ თავისუფალი დრო მოსწავლემ ქუჩაში კი არა, არამედ ასეთ დაწესებულებაში უნდა გაატაროს.

ჩაიწერა
**ნათელა ფაილოძემ.**

**სურათებზე: ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა მეორე რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულნი. „თვითმფრინავის" ავტორია თბილისის 146-ე სკოლის მოსწავლე არტურ ოსიპოვი. „ჩემპიონი მანქანის" ავტორია ბათუმელი მოსწავლე თამაზ ჭეიშვილი; გამარჯვებულები.**

# დღეს

ქართველი არქიტექტორები გულწრფელად წუხან: წელიწადი ისე არ ჩაივლის, ჩვენმა შემოქმედებამ რომელიმე საერთაშორისო კონკურსის „გრან-პრი“ არ დაიმსახუროს (პირველ-მეორე ადგილებს არც ვითვლითძ და საკუთარ ქვეყანაში ისეთი რა დავაშავეთ, შენდობას რომ ვერა და ვერ ველირსეთო!



საატესტაციო კომისია

უმაღლესი სკოლა

# არქიტექტურის პირველი მაგისტრანტები – ბოსტანაშვილი, ბალხამიშვილი, გაბუნია

**ფაქტი ფაქტად რჩება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტი თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის რეფორმებს საკუთარ გამოცდილებას, ახალგაზრდა ხუროთმოძღვართა აღზრდის მსოფლიოში აპრობირებულ მეთოდებს უპირისპირებს და ჯანსაღ პაექრობაში შესანატრ შედეგებს აღწევს.**

ვინც ჩვენი გაზეთის „არქიტექტურულ“ პუბლიკაციებს თვალყურს ადევნებს, ერთმნიშვნელოვნად დამემოწმება, რომ კარგა ხანია მაღალკვალიფიციურ, გემოვნებიან, პრაქტიკულად ღირებულ ქართულ პროექტებს თვლა აღარა აქვს.

მერე რა, რომ „ვარდების ხელისუფლება“ ქართველ არქიტექტორებს არ წყალობს, არც ინჟინერ-კონსტრუქტორთა ეროვნული კადრების რჩევა-დარიგებას ითვალისწინებს, სამაგიეროდ... მეოთხეკურსელი სტუდენტის დონეზე შესრულებულ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის პროექტს უცხოელებს აშენებინებს და სასაცილო მდგომარეობაში იგდებს თავს – დიდი ზარ-ზეიმით გახსნილი აეროპორტის სახურავი წიწილის ბუმბულივით მიაქვს ქარს, მოსაცდელ დარბაზში კი წყალი ჩამოდის!

ქართველი არქიტექტორები გულწრფელად წუხან: წელიწადი ისე არ ჩაივლის, ჩვენმა შემოქმედებამ რომელიმე საერთაშორისო კონკურსის „გრან-პრი“ არ დაიმსახუროს (პირველ-მეორე ადგილებს არც ვითვლითძ და საკუთარ ქვეყანაში ისეთი რა დავაშავეთ, შენდობას რომ ვერა და ვერ ველირსეთო!

უნდა გენახათ, როგორი გაოცებული იყო განათლების „რეფორმატორი“ მინისტრი კახა ლომაია, როცა საქართველოს სხვადასხვა მხარეში ასაგები 11 ახალი სკოლის 120-ზე მეტი ორიგინალური ქართული პროექტი იხილა. კონკურსი ახლახან გაიმართა და კომპეტენტურ ჟიურის ერთობ გაუჭირდა საუკეთესოთა შორის საუკეთესოს ამორჩევა. ყველა პროექტის ავტორი (ავტორებიძ სხვადასხვა თაობის ქართველი არქიტექტორები იყვნენ.

ამ რამდენიმე დღის წინათ შთამბეჭდავ გამარჯვებას მიაღწია ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის სამმა მაგისტრანტმა დავით ბოსტანაშვილმა, მარიამ ბალხამიშვილმა და ნინო გაბუნიამ. არქიტექტურული გეგმარების კათედრაზე მათ საკვალიფიკაციო ნაშრომები წარმოადგინეს და სახელმწიფო საგამოცდო კომისიის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს.

**დავით ბოსტანაშვილმა** კომისიას სრულყოფილი და ერთობ საინტერესო ნაშრომი – „მრავალფუნქციური ცენტრი – წიგნის სასახლე დიდუბეში“ **(ვ. ბაგრატიონის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზეძ** წარუდგინა და ღირსეულადაც დაიცვა. მისი ხელმძღვანელი იყო პროფესორი ვახტანგ დავითაია, რეცენზენტი – პროფესორი პავლე ძინძიბაძე.

**მარიამ ბალხამიშვილის** ნაშრომი – „საქმიანი და კულტურული ცენტრი გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე“ ახალგაზრდა, დამწყები არქიტექტორის ისეთი ორიგინალური პროექტია, მის ავტორს უთუოდ დიდი მომავალი აქვს. მარიამს ხელმძღვანელობდა პროფესორი ვაჟა გელაშვილი, რეცენზენტი იყო მერაბ გუჯაბიძე.

რაც შეეხება **ნინო გაბუნიას** თეორიულ ნაშრომს – „პოსტსაბჭოთა პერიოდის არქიტექტურულ-ქალაქმშენებლობითი პროცესები“, სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შეფასებით, ახალი სიტყვაა თანამედროვე ქალაქგეგმარების ურთულესი პრობლემების ანალიზისა და პრაქტიკულად გადაწყვეტისთვის.

ნინო გაბუნიასაც პროფესორი ვახტანგ დავითაია ხელმძღვანელობდა, რეცენზენტი კი ახალგაზრდა ასოცირებული პროფესორი მაია დავითაია გახლდათ.

**საატესტაციო კომისიას თავმჯდომარეობდა გამოჩენილი არქიტექტორი, აკადემიკოსი გიგა ბათიაშვილი. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ პროფესორები შოთა ბოსტანაშვილი, ვახტანგ დავითაია, ნანული თევზაძე, ალიკო კორკოტაშვილი, ვაჟა გელაშვილი, ელენე კალანდაძე, მედეა მელქაძე, ნინო იმნაძე და ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გოჩა მიქიაშვილი.**



დავით ბოსტანაშვილი



მარიამ ბალხამიშვილი



ნინო გაბუნია

**სპარტაკ ქოზულია**

გულის ბუხარი

# ის დრო წავიდა, სოფლად სულის მოსათქმელად რომ ჩავდიოდით...

## თუ გვინდა, მარჩენალმა გვარჩინოს, დავეხმაროთ მას!

**სოფელი ყოველთვის ქალაქის დამპურებლად მოიაზრებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს მან ეს ფუნქცია დაკარგა. პირიქით, დღეს ბევრი უკვე გამორბის სოფლიდან და ქალაქში ვაჭრობით ირჩენს თავს. რასაკვირველია, ეს მარტო მათი სიზარმაცით არ არის გამოწვეული. ქართველი გლეხი ხომ დასაბამიდან მიწას ელოლიავებოდა და მას მარჩენალს უწოდებდა. მაშ, დღეს რა მოხდა? რა არის იმის მიზეზი, რომ სოფლად სიღარიბე მატულობს. რას ვთავაზობთ მას?**

იყო დაპირება, რომ ქართველი გლეხი ამოისუნთქავდა, საქართველო აგრარულ სექტორს განავითარებდა, მიწის მუშას შეეწყობოდა. ხალხმა კი დაინახა, რომ მთავრობა ხშირად დანაპირებს არ ან ვერ ასრულებს. ამიტომ არის ალბათ, რომ, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ბოლო ათწლეულის მანძილზე მთლიანი ეკონომიკის მეტნაკლებად ზრდის პირობებში საქართველოს სოფლის მეურნეობა ჯერ ისევ სტაგნაციას განიცდის. თუმცა გლეხმა მიწა კი მიიღო, რაც თავის დროზე რევოლუციურ ნაბიჯად შეფასდა, მაგრამ შიშველი ხელით მას ვერ მოერია, მისი დამუშავებისთვის დახარჯულიც ვერ აიღო.

ამიტომ ბევრი ფართობი დაუმუშავებელი რჩება კახეთში. მაგალითად, ე.წ. უკანა მხარის სავენახე და სამარცვლე ფართობები წლებია მიტოვებულია. ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხობა მიწაზე მყარად ვერ დგას. არადა, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პირველსავე შეხვედრაზე მას ქვეყნის ხერხემალი უწოდა. ხერხემალს კი, მოგეხსენებათ, როგორი მოვლა და ყურადღება სჭირდება.

ქართული სამომხმარებლო ბაზრის ადგილი სომხურმა, თურქულმა, უკრაინულმა და სხვა ქვეყნების სოფლის მეურნეობის პროდუქციამ დაიპყრო – კარტოფილი, ხახვი, ნიორი, პამიდორი, კიტრი, წიწაკა, ბადრიჯანი, ნიგოზი და ლობიოც კი სხვა ქვეყნებიდანაა შემოტანილი. ჩვენთან რა, ისეთი ნიადაგია, ეს პროდუქტები არ მოდის?

მოდის, როგორ არა და კარგი ხარისხისაც, მაგრამ ჩვენს გლეხს ხილი და ციტრუსი, ბოსტნეულიც კი ძალიან ხშირად გადაუყრია კიდეც, რადგან მის პროდუქციას გასაღების ბაზარი ხელს არ უწყობს, ხშირად მას იმის ფულიც არ აქვს, ქალაქში ჩამოიტანოს.

მაგრამ რომც ჩამოიტანოს, ბაზარში შეუშვებენ? ესეც საკითხავია.

არადა, ჩვენი გლეხის პროდუქცია ეკოლოგიურად უფრო სუფთაა და გემოთითაც უცხოურს არ ჩამოუვარდება, თუ არ ჯობნის, მაგრამ თავისი ფასით უცხოურს კონკურენციას ვერ უწევს, მომხმარებელი სიიაფის გამო ისევ უცხოურს ირჩევს. სომხეთში ელექტროენერგია და ბუნებრივი გაზი უფრო იაფია, ამიტომ მისი პროდუქციაც იაფია.

შევუქმნათ ჩვენს გლეხს მისთვის მისაღები ბიზნესგარემო და ნახავთ, ჩვენი პროდუქცია დახლებზე თუ დარჩება.

ხალხს ის დაპირებაც ახსოვს, საქართველოში ახალ ინვესტიციების შემოსვლასთან ერთად სამუშაო ადგილებიც რომ უნდა გაჩენილიყო, აქედანაც არაფერი გამოვიდა, პირიქით, უმუშევრობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გაიზარდა.

ხელისუფლება ხშირად გვმოძღვრავს, ეკონომიკურად უფრო და უფრო ვძლიერდებითო, მაგრამ სად არის ეს ძლიერება, რომ ვერ ვამჩნევთ? თუ ეს მართლაც ასეა, ღატაკთა რაოდენობა რატომ არ მცირდება? თუ მცირდება, ისიც ხელოვნურად. ერთი ნაცნობი ქალბატონია, 50 წელიწადი მუშაობდა, პენსიის მეტი შემოსავალი მის ოჯახს არაფერი არ აქვს. როგორც ეკონომიკურად შეჭირვებულმა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია ითხოვა, უთხრეს, ტყუილად ნუ გვაწვალებთ, თუ ოჯახში ტელევიზორი, მაცივარი ან ჭურჭელი გაქვთ, ჩვენთან ვერ დარეგისტრირდებითო. ქალბატონმა ხელი ჩაიქნია. არადა, ტელევიზორიცა და მაცივარიც 25-30 წლის წინათ აქვს ნაყიდი!

ასე თუ განვსაზღვრავთ, ღატაკთა სიაში მართლა თითოოროლა ოჯახი თუ მოხვდება, არადა, ხომ ვხედავთ, ჩვენს გარშემო რამდენ ოჯახს უჭირს.

ექსპერტთა აზრით, ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გააუმჯობესოს მოსახლეობის ცხოვრების დონე, განსაკუთრებით სოფლად. საჭიროა რეალურად გამოჩნდეს სამუშაო ადგილები, პრიორიტეტი კი იმ ბიზნესმენს უნდა მიეცეს, ვინც მეტ ადამიანს დაასაქმებს.

ქალაქში უამრავი უცხოური მანქანა დადის, მშენებლობის ბუმია, შენდება და შენდება საცხოვრებელი სახლები. ე.ი. არის წინსვლა, რასაც ნამდვილად მივესალმებით, მაგრამ ისიც ხომ ნათელია, რომ საქართველომ ეკონომიკური დონის გაუმჯობესების მხრივ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია რეფორმისწინანდელ მდგომარეობას, განსხვავებით სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან, რომლებმაც ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი გააორმაგეს კიდეც. არც ის დაგვავიწყდეს, რომ ცუდი სოციალური პირობები აგრესიულს ხდის ადამიანს.

**მრეწველობის სფეროშიც არის გარკვეული წინსვლა, მაგრამ იმდენად მცირეა ასეთი საწარმოები და იქ მომუშავე პირები, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკურ ზრდას ვერ გრძნობს და არც არის გასაკვირი. მაგრამ რაც შეეხება სოფელს, აქ ნამდვილად ჩავარდნებია, ვაჭარბებ? გააჩერეთ ნებისმიერი გლეხი, როცა შეხვდებით და ჰკითხეთ. სოფელში ქვეყნის მოსახლეობის 45 პროცენტზე მეტი სწორედ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა. რა შეიძლება დავასკვნათ? ახლა ის დრო არ არის, სოფელში სულის მოსათქმელად რომ მიდიოდნენ, სოფელს ძალიან უჭირს!**

რით შეგვიძლია ვუშველოთ?

**ნაზი იმნაიშვილი**

● კაცს შემაძრწუნებლად ბინძური შიშველი ფეხები უჩანს (ალბათ, ამითაც ცდილობს გამვლელებზე ეფექტის მოხდენას‚ ბავშვი კი, პირიქით, ძონძებშია გახვეული, თვალებიღა უჩანს, წვანან ასე ცივ ასფალტზე ამ გაზაფხულის ცივ, სუსხიან ამინდში და... გროშებს აგროვებენ



◎ ბანალური რეპორტაჟი

# მათხოვრობით არჩენს შვილს

*„მათხოვარი“ — გულის შემძვრელი სიტყვაა, მით უმეტეს, თუ ამ „სტატუსის“ მქონე ხარ; მაგრამ, დამეთანხმებით, რომ ამ გზისკენ წასვლასაც თავისებური გამბედაობა უნდა.*

*ათიოდ წლის წინათ მათხოვრების მომრავლებამ საქართველოს ქუჩებში ადამიანები შეაშფოთა, პრესა, ტელევიზია ახმაურდა. მათზე წერა ჟურნალისტებისთვის წამყვან თემადაც კი იქცა, საზოგადოება ერთხმად ამბობდა, რომ საქართველოს მათხოვარი არ ეკადრებოდა... მაშინ უფრო განვიცდიდით, თანავუგრძნობდით, ვეხმარებოდით ამ გაჭირვებულ ხალხს. დღეს ეს მიდგომა განელდა, უწინდელივით ისე „აღარ ვიწვით“ მათი საცოდაობით, მაგრამ არა იმიტომ, რომ მათხოვრებმა იკლეს ან ეს პრობლემა მოგვარდა. არა! მათხოვრებიც ცხოვრების „ფერხულში ჩაებნენ“ და დროთა განმავლობაში შეერწყნენ ჩვენს ყოველდღიურობას.*

— მომე, დეიდა, ათი თეთრი, რა?

— ოცი რომ მოგცე?

პატარა მათხოვარი გაოცებული მიყურებს და ჩემი სახის გამომეტყველებით ცდილობს გაგებას: სერიოზული ვარ თუ დავცინი.

არადა, დასაცინი რა აქვს?!

— სკოლაში თუ დადიხარ? — ვეკითხები.

— კი, მერე შენ რა გინდა?

— სად ცხოვრობ? სადაა დედაშენი?

— წადი, რა! — ბიჭი გაიქცა.

რამდენი ასეთი „თეთრების მათხოვარი“ გვხვდება თბილისის ქუჩებში, ვინ მოთვლის. გაჩერებული „მარშრუტკაა“ თუ ავტობუსი, შეახტებიან გასაცოდავებული პატარა ანგელოზები და მოურიდებლად ითხოვენ დახმარებას. „მომეცი!“ — ამ სიტყვას დღეში მერამდენედ იმეორებენ და გამურული თეთრებიც უჭყავით ჯიბეში. მათხოვრობა მათთვის, უკვე სამსახურია.



— ჩადი, გოგო, მომცილდი, გამიშვით, ხალხი არა ხართ?! — უყვირის ავტობუსის მძღოლი მათხოვარს.

ძოძოლას აყრის ბავშვიც (ბავშვი თუ გოგო, ესეც საკითხავია. მის ასაკში გათხოვებაც შესაძლებელია).

მგზავრები იცინიან.

მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეზე ქვეშაგებში გახვეული ქალი ზის ფეხმორთხმული და თავჩაღუნული ძუძუს აწოვებს თოთო ბავშვს.

ხურდას ვუყრი.

— ღმერთმა დაგლოცოს! — თავაუწევლად მეტყვის

— რა გქვიათ, ქალბატონო?

— ...

— აქ ჯდომას არ გიშლიან?

ამომხედავს: — დამეხმარონ და მეც აღარ დავჯდები.

— რითი უნდა დაგეხმარონ, სხვებსაც არა აქვთ!

— ჩემსავით არავის უჭირს...

— რომ იმუშაოთ? — არ ვეშვები.

— სად ვიმუშაო, ინვალიდი ვარ. ბავშვს რა ვუყო, სად წავიყვანო?

— ბავშვს მამა არ ჰყავს?

— არა...

— ეკლესიაში რომ წახვიდეთ?

— ეჰ... არ ვიცი, არაფრის და არავის იმედი არა მაქვს.

ბავშვი ატირდა.

— შია?—

— კი, შია!

— რძე გაქვს?

— კი, მაქვს.

— ქართველი ხარ? — ვეკითხები უადგილოდ.

— რა მნიშვნელობა აქვს, საქართველოში ხომ ვარ...

საუბარს ვერ ვაგრძელებთ. ქალს უნდობლობა ღრღნის და თან შვილს მზრუნველობს.

დედა მათხოვრობით არჩენს შვილს, სამწუხაროდ, ასეთია ქართული რეალობა. არის ასეთი რეალობაც — მამა რომ მათხოვრობით არჩენს შვილს.

... ჩემი სამი წლის გოგონას ბრონქები გაუცივდა და ექიმთან მიმყავს. „ბავშვთა სამყაროს“ წინ თხელ, ფარატინა „ადეალაზე“ მამა-შვილი გაწოლილა და მათხოვრობს. „დამეხმარეთ, დანო, ძმანო, ჩემს ობოლ შვილს დაეხმარეთ“, — მთელი ხმით გაჰყვირის კაცი. „მართლაც, რომ ობოლია, ეს საწყალი, ესა...“ — ხელებს ასავსავებს ხანშიშესული ქალბატონი და დამწუხრებული სახით განაგრძობს გზას. კაცს შემაძრწუნებლად ბინძური შიშველი ფეხები უჩანს (ალბათ, ამითაც ცდილობს გამვლელებზე ეფექტის მოხდენასძ, ბავშვი კი, პირიქით, ძონძებშია გახვეული, თვალებიღა უჩანს, წვანან ასე ცივ ასფალტზე ამ გაზაფხულის ცივ, სუსხიან ამინდში და... გროშებს აგროვებენ. ჩემს შვილს მათთან მიახლოვებისაც ეშინია და ახლოს არ მაკარებს.

წლებია მათხოვრობის, გაჭირვებული ადამიანების ცხოვრებაზე, პრობლემებზე გვიწევს წერა, კამათი. მაგრამ... ვინ შეიძლება გადაწყვიტოს ეს პრობლემა — საზოგადოებამ, ხელისუფლებამ?

საზოგადოება აბსტრაქტული მცნებაა, რომელიც კონკრეტულად გულისხმობს: მე, შენ, იმას, და, საერთოდ, ადამიანებს — დღეს ყველას გვიჭირს (თუმცა, არა ყველასძ, — ესაა საზოგადოების საზოგადო პასუხი.

„იმ ხელისუფლების“ ხელისუფალნი, თუ ხშირად არა, ხანდახან მაინც იწუხებდნენ თავს და ირჯებოდნენ, რათა მათხოვრებისთვის რაღაც გამოსავალი გამოენახათ. რამდენად ეფექტიანად, ეს სხვა თემაა. „ვარდების ხელისუფლება“ კი ამ თვალსაზრისით რატომღაც დუმს. იმის მიუხედავად, რომ, პრეზიდენტის თქმით, „საქართველო აღმშენებლობის გზით მიემართება“, ისევ დახეტიალობენ ხელგამოწვდილი მაწანწალები თბილისის ქუჩებში, მათ უმრავლესობას კი „ვარდების რევოლუციის“ ასაკი არცა აქვს. სწორედ რომ, ამაზეა ნათქვამი „ — ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“.

**თეა მოსია**

№ 85. პარასკევი, 4 მაისი, 2007 წელი.

◎ ნატურიდან

# „ნეტავი მამა მყოლოდა და რამდენიც უნდოდა ვეცემე“

**ძველად ამ სანახებში დაბურული ბაღი იყო. ქუჩის გადაღმა სტადიონია. აქ იკრიბებოდნენ სპორტის გულმხურვალე შემატკივრები. იყო ბაასი, მსჯელობა და დავა, რომლის მთავარი შინაარსი ქართული სპორტის ხვალინდელ დღეზე ფიქრი იყო.**

დღეს „ სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული!“ ... — დღეს აქ ბაზარია, ნამდვილი ბაზარი! შეწუხებული დგას დიდი აკაკის ძეგლი.

კანტიკუნტად დადიან მოსეირნე დიდებიც და პატარებიც, ხანშიშესულებიც და ახალგაზრდებიც. ახლა გაფერმკრთალებულა გულშემატკივართა „საფიხვნო“, არ სხედან სპორტის გულმხურველე სპეციალისტები და, ვატყობ, არც ისე ბევრს სცალია ჩვენს ქალაქში აქ „დასაჯდომად“.

მხოლოდ ერთგან ვამჩნევ „მოძრაობას“ — ბაღის შორეულ კუთხეში ყმაწვილები „წიოკობენ“. რაღაცას დაობენ, რაღაცაზე გამოთქვამენ თავიანთ აზრს, რაღაცაზე კინკლაობენ, მაგრამ უკვე მთელი კვირაა ვაკვირდები მათ და ერთხელაც არ მინახავს მათი ჩხუბი, არც ერთხელ მიუყვანიათ საქმე აქამდე. არიან ბიჭებიც და გოგონებიც. ზოგი მთლად პატარაა, ზოგიც ცოტა მოზრდილი, ასე 10-12 წლისანი თუ იქნებიან. ზოგს ღაჟღაჟა ლოყები აქვს, ზოგს კიდევ — ფერმკრთალი. ზოგი, თითქოს, ცეცხლს აფრქვევსო თვალებიდან, ზოგს ნაღვლი მოსძალებია და სულ სხვადასხვანაირები არიან, მხოლოდ ერთი აქვთ საერთო და ერთნაირი — მოუვლელი ფრჩხილები და ჭუჭყიანი ტანსაცმელი. ისინი მაწანწალები არიან!

ერთ დღეს ნაბაღარს შემორჩენილ ბუჩქებს აქეთ ჩამოვჯექი სკამძელზე. ჩემს უკან, ბუჩქებს იქით, ისინი „მეფობდნენ“. თავისუფლად საუბრობდნენ. ზოგს მოსწონდა თავისუფლება, ზოგს სხვა ჰქონდა საზრუნავი, ზოგის ფიქრი პურსა და ყველს ვერ სცილდებოდა, ზოგი მაძღრისად იყო და ნაკლებად აწუხებდა პური და ყველი. ზოგი, ისე, უბრალოდ, ლაზღანდარობდა და თავის კბილა გოგონებში. ისინიც ტკარცალებდნენ და თითქმის უზრუნველი სიცოცხლით სტკბებოდნენ.

... ვიღაცა სავაჭრო ფარდულიდან გამოვიდა. ათიოდე წლის ყმაწვილს მოათრევდა ყურით.

— მამი, მეტკინა, მამიკო!... არ მინდა, კარგი, არ მინდა, არ მიყიდო, ოღონდ ნუ მცემ!... — იხვეწებოდა ყაწვილი.

ავტობუსში შეათრია მამამ შვილი და წავიდნენ.

ბაღში მოწყვეტილმა სიჩუმემ დაისადგურა. გავიოცე, სად „აორთქლდნენ“-მეთქი ჩემი გმირები და წამოვიწიე.

იქვე იყვნენ. ჩუმად შეჰყურებდნენ ერთმანეთს და ამ სიჩუმეში საოცარი სიმძლავრით იკვეთებოდა მათი სათქმელი.

— მე მაგისი დედაც!... როგორ სცემდა შვილს ეს კეთილძაღლი! — სიჩუმე დაარღვია ყველაზე უფროსმა.

— მაგისთანა მამას ყელი უნდა გამოსჭრა!.. — თქვა შუათანამ.

— შენ უცემიხარ მამას? — იკითხა ყველაზე პატარამ.

— ყოველდღე!...

— ...მამაჩემი სადღაც დაიკარგა. სამუშაოს ვიშოვიო და წავიდა. მერე არ მინახავს. დედა კი ვიღაცას გაჰყვა...



— ერთხელ მამაჩემმა ვაგზალზე ვიღაც ტიპებთან მიმიყვანა და მითხრა, ფული გააკეთეო. ერთი კვირა იმ ძველ ვაგონში ვიყავი... ერთი კვირის მერე, მამა რომ მოვიდა, იმ ტიპებმა არც ფული მისცეს და სცემეს კიდეც. ისე გაიქცა, ჩემსკენ არც მოუხედავს. გავიპარე ვაგონიდან. სახლში, რომ მივედი, მეზობლებმა მითხრეს, მამაშენმა ბინა გაყიდა და დედაშენიც სადღაც წაიყვანაო... მერე არასოდეს მინახავს ისინი!... — შორს იყურებოდა შავგვრემანი გოგონა და, ეტყობოდა, ოცნებაშიც ვერაფერს ხედავდა.

— ექვსი და-ძმა ვიყავით. დედა მეტროსთან იდგა და ხურდებს აგროვებდა... ერთხელ იქაურმა მათხოვრებმა სცემეს და მოკვდა... მამამ ჩვენზე იყარა ჯავრი, სახლიდან გაგვყარა, ფული იშოვეთ და მოიტანეთ, თორემ შინ არ შემოგიშვებთო... თავიდან ერთად ვიყავით და-ძმები, მერე დავიფანტეთ. მენატრებიან, მაგრამ ვინ იცის, სად არიან...

ყველაზე პატარა გამწარებული იქექებოდა და ჩუმად იყო. მერე მაინც ამოიღო ხმა.

— მე მამა საერთოდ არ მყოლია!

— როგორ თუ, არ გყოლია?! — სიცილით დაიხოცნენ დანარჩენები.

— არ მყოლია!.. ნეტავი მყოლოდა და რამდენიც უნდოდა ვეცემე მამას!... — თქვა და ცრემლები წასკდა ცისფერი თვალებიდან, ცრემლები, რომელშიც ქვეყნის უბედურება ირეკლებოდა.

იდგა მოჟამული საღამო, სევდიანი და ბურუსით მოსილი.

**ზაურ ფიფია**

# დისკუსია

● საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მარცხი რუსეთის ანტიქართული პოლიტიკისა და ოპოზიციის ერთობლივი (შეთანხმებული) მოქმედების შედეგი იყო. მკითხველთა ნაწილი დარწმუნებულია იმაში, რომ საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას ქვეყანა თავიდანვე კატასტროფისაკენ მიჰყავდა, რის გამოც მისი მარცხი გარდაუვალი იყო



## ◎ სარედაქციო ფოსტა

# მოვლენებს მკითხველი აფასებს

დისკუსიამ საქართველოს ისტორიის უახლესი პერიოდის (1985-2003 წ.წ.) შესახებ მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ამჯერად რედაქციაში შემოსული მასალა იმ საკითხების მიხედვით დავაჯგუფეთ, რომელთა შესახებაც აზრთა სხვადასხვაობა განსაკუთრებით თვალშისაცემია.

„გარდაქმნა", მისი არსი და შედეგები კვლავ რჩება ცხარე სადისკუსიო თემად. მკითხველთა ნაწილი „გარდაქმნას" მიიჩნევს ყველა იმ უბედურების მიზეზად, რომელიც თავს დაატყდა საქართველოს. მკითხველთა ერთი ნაწილის აზრით, სწორედ „გარდაქმნას" მოჰყვა შედეგად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და სეპარატისტული რეჟიმის აღმოცენება აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. მკითხველთა ეს ნაწილი დარწმუნებულია იმაში, რომ საბჭოთა კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა საქართველოსთვის სავსებით მისაღები იყო, ხოლო მისი დარღვევა რომ კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა, ეს ადრევე უნდა გვეგრძნო. მკითხველთა მეორე ნაწილი, რომელიც „გარდაქმნას" უარყოფითად აფასებს, მიიჩნევს, რომ სეპარატისტული რეჟიმების აღმოცენებაზე გაცილებით დიდ უარყოფით მოვლენას წარმოადგენდა საბჭოთა ეკონომიკური და სოციალური სისტემის ნგრევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში მკითხველი არ კამათობს საბჭოთა ეკონომიკის გარდაქმნის აუცილებლობის თაობაზე. პირიქით, თითქმის ყველა აღიარებს, რომ საბჭოთა ეკონომიკა კრიზისს განიცდიდა და მას რეფორმა ესაჭიროებოდა. უბედურებას მკითხველი იმაში ხედავს, რომ რეფორმის ნაცვლად დაიწყო ეკონომიკური სისტემის მიზანდასახული ნგრევა. არც ერთი ე.წ. „რეფორმა" მიზნად არ ისახავდა ეკონომიკის გაჯანსაღებას. პირიქით, „რეფორმებმა" უფრო გააღრმავეს კრიზისი, მთელმა პროცესმა უმართავი ხასიათი შეიძინა.

„გარდაქმნის" მეორე დამღუპველ შედეგად მკითხველთა ეს ნაწილი სოციალური დაცვის სისტემის მოშლას მიიჩნევს. დასკვნა ასეთია: „გარდაქმნა" სულაც არ ისახავდა მიზნად საბჭოთა ეკონომიკური და სოციალური სისტემის გაჯანსაღებას, პირიქით, მისი სრული ლიკვიდაციისათვის იყო გამიზნული.

მკითხველთა გაცილებით დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ საბჭოთა ეკონომიკურმა და სოციალურმა სისტემამ თავისი დრო მოჭამა და იგი აუცილებლად უნდა დანგრეულიყო, ვერანაირი რეფორმა მას ველარ იხსნიდა. მკითხველთა ეს ნაწილი დარწმუნებულია იმაში, რომ საბჭოთა ეკონომიკური და სოციალური სისტემა „გარდაქმნის" გარეშეც დაინგრეოდა, ოღონდ შედეგები იქნებოდა გაცილებით უარყოფითი. მკითხველთა მცირე ჯგუფი მიიჩნევს, რომ სავსებით შესაძლებელი იყო საბჭოთა ეკონომიკური და სოციალური სისტემის „ჩინური მოდელის" მიხედვით გარდაქმნა.

საბჭოთა კავშირის დაშლა ასევე ცხარე დისკუსიას იწვევს. აქაც აზრი ორად იყოფა. მკითხველთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა მოხდა დასავლური სამყაროს, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ორგანიზებული შეთქმულების შედეგად. მკითხველთა მეორე ნაწილი კი თვლის, რომ საბჭოთა კავშირს, ადრე თუ გვიან, მაინც დაანგრევდა შინაგანი წინააღმდეგობები. დასკვნა აქაც სავსებით ნათელია: მკითხველთა მცირე ნაწილისათვის საბჭოთა კავშირის დაშლა ტრაგედია იყო, ხოლო მეორე ნაწილისათვის – უდიდესი მნიშვნელობის პროგრესული მოვლენა.



ქართული ეროვნული მოძრაობის ხასიათი და მიზნები კიდევ უფრო დიდ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მკითხველთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლებისა და 80-იანი წლების პირველი ნახევრის ეროვნული მოძრაობა აგრძელებდა 1921 წლიდან დაწყებული ეროვნული მოძრაობის ტრადიციებს. „გარდაქმნის" დაწყების შემდეგ (1985 წლიდან) ეროვნული მოძრაობის ხასიათი მკვეთრად შეიცვალა. სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის დაიწყო ბრძოლა ხელისუფლებისათვის. ყველა ემზადებოდა იმისათვის, რომ ხელსაყრელი ვითარების დადგომისთანავე ხელთ ეგდო ძალაუფლება. მკითხველთა ეს ნაწილი ფიქრობს, რომ ეროვნული მოძრაობა გათიშა არა ტექნიკურ საკითხებზე უთანხმოებამ, არამედ ხელისუფლებისათვის ბრძოლამ. ხელისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდში ეროვნული მოძრაობის ლიდერებს მხედველობიდან გამორჩათ ბევრი საჭირბოროტო საკითხი.

1990 წლის მრავალპარტიულმა არჩევნებმა საქმეს ვერ უშველა – ეროვნული მოძრაობის ორი ფრთა ვერ შეარიგა, პირიქით კიდევ უფრო დააპირისპირა. მკითხველთა მცირე ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეროვნული მოძრაობა თავიდანვე საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ იყო მართული, ეროვნული მოძრაობის გათიშვაც სპეცსამსახურების მოღვაწეობის შედეგი იყო. მკითხველთა უდიდეს ნაწილს სჯერა, რომ ქართული ეროვნული მოძრაობა სწორი გზით მიდიოდა, მისი სტრატეგია და ტექნიკა სავსებით შეეფერებოდა საბჭოთა კავშირში შექმნილ ვითარებას. სწორედ ამით იყო განპირობებული ის, რომ ქართული ეროვნული მოძრაობა ტონს აძლევდა სხვა ერების ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

საქართველოს ეროვნული ხელისუფლების (1990-1991 წ.წ.) მოღვაწეობის შეფასებაში მკითხველი ისევ ორ ნაწილად იყოფა. ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ეროვნული ხელისუფლება, ცალკეული შეცდომების მიუხედავად, სწორი გზით მიდიოდა და რომ არა რუსეთის ანტიქართული პოლიტიკა, საქართველოს ხელისუფლება დასახულ მიზანს მიაღწევდა. მკითხველთა ნაწილი საქართველოს ხელისუფლების წარუმატებლობას და მის საბოლოო მარცხს ოპოზიციის ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობით ხსნის. გვხვდება ასეთი დასკვნაც: საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მარცხი რუსეთის ანტიქართული პოლიტიკისა და ოპოზიციის ერთობლივი (შეთანხმებული) მოქმედების შედეგი იყო. მკითხველთა ნაწილი დარწმუნებულია იმაში, რომ საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას ქვეყანა თავიდანვე კატასტროფისაკენ მიჰყავდა, რის გამოც მისი მარცხი გარდაუვალი იყო.

ზვიად გამსახურდიას შეფასება ასევე დიდ ვნებათაღელვას იწვევს. მკითხველთა ნაწილი მას აღმერთებს, ხოლო ნაწილი მხოლოდ უარყოფითად აფასებს. არის, თუ შეიძლება თქმა, შუალედური აზრიც. მკითხველთა ეს ნაწილი მიიჩნევს, რომ ზვიად გამსახურდიას ჰქონდა გარკვეული შეცდომები, რომელთა დიდ ნაწილს დაუშვებდა ყველა, ვინც კი იმ ურთულეს ეპოქაში საქართველოს პრეზიდენტი იქნებოდა. ამ შემთხვევაში დასკვნა ასეთია: ზვიად გამსახურდიას შეცდომები არ ყოფილა საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მარცხის მიზეზი.

ედუარდ შევარდნაძის შეფასება, ჯერჯერობით რედაქციაში შემოსული მასალების მიხედვით, მხოლოდ უარყოფითია. არის ერთი მეტად საინტერესო დასკვნაც: ედუარდ შევარდნაძეს რომ საქართველო პირველი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ან თუნდაც კონსტიტუციის მიღების შემდეგ დაეტოვებინა, საქართველოს ისტორიაში იგი დადებითად შეფასდებოდა.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების სამხედრო ძალით დამხობას ჯერჯერობით მაინც არავინ ამართლებს. ყველა იმ აზრისაა, რომ ეროვნული ხელისუფლების სამხედრო ძალით დამხობა იყო უდიდესი შეცდომა. ტრაგედიას აღრმავებდა ის, რომ ეროვნული ხელისუფლების სამხედრო ძალით დამხობაში გადამწყვეტი როლი რუსმა სამხედროებმა შეასრულეს.

სამხედრო საბჭოს მოღვაწეობაში მკითხველი დადებითს ვერაფერს ხედავს. ამ ორგანოს მოღვაწეობა მხოლოდ უარყოფითად ფასდება.

სამხედრო საბჭოსა და სახელმწიფო საბჭოს მოღვაწეობაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდ უარყოფით მოვლენად მკითხველი აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონში საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის შეწყვეტას მიიჩნევს. ამ შემთხვევაში თითქმის ყველა ერთი აზრისაა: ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების ბოლომდე გაუაზრებელმა პოლიტიკამ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაკარგვა გამოიწვია. ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების მეორე დიდ შეცდომად მკითხველი ზვიად გამსახურდიას მომხრეების წინააღმდეგ რუსეთის ჯარების გამოყენებას მიიჩნევს.

რაც შეეხება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლას, მკითხველთა დიდი ნაწილი მას უარყოფითად აფასებს, შედარებით მცირე ნაწილი – დადებითად.

ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების (1992-2003 წ.წ.) მთლიანობაში შეფასება მკითხველთა უდიდესი ნაწილისათვის მხოლოდ უარყოფითია. რამდენიმე მკითხველი ცდილობს, იპოვოს რაღაც დადებითი ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობაში (წარმატებები საგარეო პოლიტიკაში და სხვ.).

მკითხველი გვთხოვს, შეფასება მიეცეს გარდაქმნის პერიოდის ქართულ მწერლობას, კინოს, თეატრს, ჟურნალისტიკას.

## ანალიზის ცდა

*ამჯერად ჩვენი გაზეთის სადისკუსიო „ფართობი" მთლიანად მკითხველს დავუთმეთ. აღსანიშნავია, რომ მთელი სამი თვის განმავლობაში, რაც „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე ჩვენი ისტორიის უახლესი პერიოდის (1985-2003 წ.წ.) ანალიზის ცდის მიზნით დისკუსია გაიშალა, ჩვენდა გასაკვირად, გაზეთის უბრალო მკითხველები ბევრად უფრო აქტიურობენ, ვიდრე პროფესიონალი ისტორიკოსები, მეცნიერების და კულტურის წარმომადგენლები, რომელთაც, ბუნებრივია, თითქოს მეტი გულისყური უნდა გამოეჩინათ და მეტი მონდომებით უნდა ჩაბმულიყვნენ დისკუსიაში. როგორც ჩანს, რაც დიდად სამწუხაროა, ჩვენი საზოგადოება და, კერძოდ, ინტელიგენცია ყველაფრის მიმართ ერთგვარი ინდიფერენტიზმის საშინელმა სენმა მოიცვა. არადა იქნებ სწორედ ამიტომაც ვართ ამ დღეში, რაკი მუდმივად აღარ გვახსოვს ის მარადიული ჭეშმარიტება, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა.*

*მაშ, ასე, დღეს სიტყვა ეკუთვნის მკითხველს.*

**გიწვევთ სამშობლოს ბედზე მოფიქრალ ყველა მოაზროვნე ადამიანს**

**ჩვენი უახლოესი უტყუარი წარსული: წლები, მოვლენები, ადამიანები**

**დისკუსიის თემაა: „საქართველო 1985–2003 წლებში"**

# დისკუსია

ზოგიერთს ვერ გაუგია და შეუძულებია სიტყვა – დიქტატურა. არსებობს სახელმწიფო – იარსებებს დიქტატურაც. სახელმწიფოს კარგი მმართველი ის არის, რომელიც შემოიღებს ხალხის ნებით მიღებული კანონის დიქტატურას. მე უარვყოფ პიროვნების დიქტატურას, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება ის, რომ დღეს ჩვენ გვჭირდება, როგორც არასდროს, კანონის დიქტატურა



## რა გზა გამოვიარეთ

*პატივცემულო რედაქცია, ნამდვილად გულით მივესალმები თქვენს დისკუსიას, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ, ბოლოს და ბოლოს, მეტნაკლებად გაირკვეს ჭეშმარიტება. არადა აშკარად ქაოსია ჩვენი უახლესი წარსულის შეფასებაში. წერილი, რომელსაც გთავაზობთ, ამ 14 წლის წინათ დავწერე, იმჟამინდელი ცნობილი მოვლენების დროს, მაგრამ არ გამომიქვეყნებია. იქნებ სწორედ ახლა გამოდგეს თქვენი გაზეთის ფურცლებზე გაშლილი მსჯელობისას, როგორც ერთ-ერთი თვითმხილველი ქართველი მოქალაქის კერძო აზრი.*

*პატივისცემით,*
*გიორგი გაბესკირია*
*3.V.07 წ.*

# სინამდვილეზე მიუკერძოებლად უნდა ვმსჯელობდეთ...

უკვე 55 წელს გავცდი, ძალიან ემოციური ვარ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკითხი ეხება ჩემს ერს. ჩემი ემოციები ყოველთვის ამისახავს ქაღალდზე და დამიტოვებია ჩემთვის სამახსოვროდ, მხოლოდ იმიტომ, რომ ძნელი იყო ჩემი საკუთარი აზრის გამოქვეყნება და სხვისთვის გაზიარება. ამ საკითხში ჩემს თავს ვთვლიდი არაკომპეტენტურად, ვინაიდან მე ვარ ინჟინერი და დაკავებული ვარ საინჟინრო პრობლემებით; მუდმივად ვთანამშრომლობ საქართველოს ჟურნალში – „მეცნიერება და ტექნიკა“ და საკავშირო ჟურნალში – „კინო და ტელევიზიის ტექნიკა“. რამდენიმე ათეული ნაშრომის ავტორიცა ვარ, მაქვს საკუთარი გამოგონებაც და მშობლიურ ენაზე მომიმზადებია რამდენიმე სახელმძღვანელო, რომლებიც რეკომენდებულია და წარდგენილია გამოსაცემად.

დღევანდელმა სიტუაციამ ძალიან ამაღელვა, სურვილი მაქვს, გამოვთქვა ჩემი აზრი ჩვენი ერის თანამედროვე პრობლემებზე.



უნდა დავუბრუნდე წარსულს. ჯერ კიდევ 1988 წლის 11 ოქტომბერს გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა წერილი ვინმე გვაზავას ავტორობით, რომელიც აშკარა ცილისმწამებლურად ჩავთვალე, ამაზე ჩემი აზრი გამოვთქვი, მაგრამ რედაქციისთვის არ გამიგზავნია. მან მაშინ საკუთარი აზრი მოახვია ქართველ ერს, მაგრამ თუ როგორ გაიზიარა ქართველმა ხალხმა მსგავსი წერილების ავტორების აზრი, საქმით გამოიხატა ეროვნული პარლამენტის არჩევის პროცესში. მაშინ ზვიად გამსახურდიას პირადი მოწინააღმდეგეები აქტიურობდნენ პრესის საშუალებით. ზვიად გამსახურდიას გამოსვლა გაზეთითა და ტელევიზიით შეუძლებელი იყო და მის შემოქმედებაზე მხოლოდ ოპოზიციის აზრები ვიცოდით.

მალე გახდა შესაძლებელი, რომ უშუალოდ გაგვეზიარებინა ბატონ ზვიადის აზრი; მივდიოდით მის ლექციებზე და გვემაყებოდა, რომ ჩვენს ერს ჰყავს ნამდვილი პატრიოტი შვილი სალი აზროვნებითა და შორსმხედველობით.

მაშინდელი „პატრიოტები“ დასცინოდნენ და დღესაც დასცინიან დემოკრატიას. დემოკრატია ეს ხალხის უფლებაა და ამას სკოლაშიც გვასწავლიდნენ. ზოგიერთი „პატრიოტი“ ტელევიზიის ეკრანიდან გვასწავლის დემოკრატიას. მოითხოვენ ტელევიზიით გამოსვლას და ტელევიზიის ეკრანიდან აცხადებენ, რომ მათ არ აძლევენ ამის ნებას. მათი გაგებით, დემოკრატია ნიშნავს შეიარაღების თავისუფლებას, თვითნებობას და ხალხის ნების ხელყოფას.

ქართველთა შორის გაუთავებელმა უთანხმოებამ მიკარნახა წამეკითხა და გავცნობოდი ძირითად ნაშრომებს ქართველი ერის კულტურაზე, დამწერლობის წარმოშობაზე, ენათა სავარაუდო ნათესაობრივ კავშირებზე და სხვა. ამის შემდეგ უფრო ძლიერ შემიყვარდა ჩვენი ერი, ქართველი ხალხი, ყველა ჩვენი თანამემამულე და ვცდილობდი, ნაკლებად ემოციური ვყოფილიყავი ზოგიერთი ინტელიგენტად წოდებული ქართველი კაცის სუბიექტურობაზე. დღეს კი ამას ვერ ვახერხებ.

იმავე სტატიაში ზეინკალიც კი აალაპარაკეს იმაზე, რომ ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეებს (მერაბ კოსტავასძ უწოდეს არაკეთილის მოსურვე ადამიანები. იმ დროს არასასურველი ინფორმაციით გამოვიდა ბატონი ალექსიძე. დღეს ამას აკეთებს საქართველოს უნივერსიტეტის სახელით გოგუაძე, კვაჭანტირაძე, კიკნაძე და სხვანი.

მე პირადად ვაფასებდი და მჯეროდა თ. კვაჭანტირაძის. ის ჩვეული ფორმით და კომპეტენტურობით, როგორც ვ. ადვაძე, ახერხებდა ხალხის დარწმუნებას. თურმე გულში პატრიოტული გრძნობის თანამოაზრედ ჰყოლიათ საეჭვო ადამიანები, ვინაიდან ისინი დღეს მათი პოზიციის დამცველად მოგვევლინნენ; თურმე ეს ხდება უნივერსიტეტის შენობაში.

უნდა დავუბრუნდე 1990 წლის გაზეთ „ქართული ქრონიკა“-ის № 10-ში გამოქვეყნებულ სტატიას – „პატარა ცახესი და... დიდი ამბიციები“.

ხალხს არაფერიავიწყდება და ისტორია არაფერს ივიწყებს. აღნიშნულ სტატიას მათეს მოძღვრება უძღვის სათაურად. მის ავტორს დაავიწყდა ის, რომ მათეს ბრძნული აზრი ყველა ჩვენგანს გვეკუთვნის და კარგად უნდა ჩავიხედოთ ჩვენს საქმიანობაში, რა გზით და როგორ ავდივართ ცხოვრების კიბეებზე. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ კიბეები მარტო ასასვლელი კი არ არის, ჩასასვლელადაც იყენებენ ხოლმე.

სტატიის წაკითხვისას უხერხულად ვიგრძენი თავი, დავწერე ჩემი საპასუხო აზრი და შევინახე. დღეს ვიხსენებ, თუ როგორი გზით ადიოდა ზოგიერთი „ლიდერი“ აღმავალ კიბეებზე. ისინი ლანძღვის მეთოდის გამოყენების ოსტატები იყვნენ და დღესაც ამას აკეთებენ. მათთვის არავის უბოძებია უფლება, რომ გამოვიდნენ ერის სახელით და ადვილად ბრძენობენ. ისინი შეცდომების ძიებით ქმნიან თავიანთ შემოქმედებას და პრაქტიკული დახმარების ფორმას ვერ პოულობენ. ცილისმწამებლურმა ბრძოლამ თავის მხრივ განამტკიცა ადრინდელი ოპოზიციის ავტორიტეტი და მიიყვანა კომუნისტური დიქტატურის დამხობამდე.

ზოგიერთს ვერ გაუგია და შეუძულებია სიტყვა – დიქტატურა. არსებობს სახელმწიფო – იარსებებს დიქტატურაც. სახელმწიფოს კარგი მმართველი ის არის, რომელიც შემოიღებს ხალხის ნებით მიღებული კანონის დიქტატურას. მე უარვყოფ პიროვნების დიქტატურას, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება ის, რომ დღეს ჩვენ გვჭირდება, როგორც არასდროს, კანონის დიქტატურა. სწორედ ეს აკლია ჩვენს დემოკრატიულ მთავრობას. მე მხედველობაში მაქვს სახელმწიფო კანონის სახალხო განხილვა და მიღება, რომელიც განამტკიცებს სრულ დამოუკიდებლობას. ამასთან ერთად, ამ კანონის მიმართ დამორჩილების უზრუნველყოფა სავალდებულო უნდა იყოს ყველასათვის, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და პიროვნებისა. სწორედ ამაში უნდა ჩავაქსოვოთ ჩვენი სული და გული. ამას კი სჭირდება მაღალი კულტურა და კანონის პატივისცემის უნარი. ყველა ქართველს გვმართებს ვიფიქროთ ერის ბედ-იღბალზე.

ბატონ ზვიადმა სახელი გაითქვა მხოლოდ იმიტომ, რომ მან მთელი თავისი სული და გული ჩაატანა ეროვნულ საქმეს, ერის ღირსებას და პატრიოტულ სიყვარულს და დღეს ამას აკეთებს. ბატონი ზვიადი თავისი კონცეფციით ყოველთვის მიგვანიშნებდა იმ გაერთიანებისაკენ, რაც წაადგებოდა ერის სამსახურს, და დღესაც ამას აკეთებს. ბატონ ზვიადს აბრალებენ ილიაობის დაჩემებას. თუ მისი შემოქმედება ნაწილობრივ მაინც მიგვანიშნებს ახალი ილიას წარმოჩენაზე, ეს ხომ ერის სიკეთეა და რატომ ჩნდება სურვილები, ვებრძოლოთ ასეთ გამოჩენას. თუმცა ეს სჩვევია ქართველობას და სწორედ ესაა ჩვენი უბედურება. ქართველმა კაცმა წაართვა სიცოცხლე ილიას; არადა იმ დროს გარეშე მტერი ვერაფერს დაგვაკლებდა. როგორ შეიძლება ბატონ ზვიადს დავაბრალოთ ადრინდელი ოფიციოზისა და კრემლის სიმპათია, ამას ხალხი არ დაიჯერებს, ამით დღევანდელი ოპოზიცია ძირს უთხრის თავის ავტორიტეტს. სხვანაირად რომ ვთქვათ, იმ ტოტს ჭრიან, რომელზედაც სხედან.

საჭიროა რეალურ სინამდვილეზე მიუკერძოებული მსჯელობა, ერის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, პირადი ამბიციების უარყოფა და არჩეული პარლამენტის მხარში ამოდგომა.

წარმოუდგენელია და სამარცხვინოდ მიმაჩნია ტელედებატები პირადი და ურთიერთშეურაცხყოფის ფონზე. დღეს ეს ჩვენს ერს არ სჭირდება და მგონია, რომ არასოდეს არ იქნება საჭირო. ეს მხოლოდ დაუძინებელი მტრის სამსახური იქნება ჩვენი ერისათვის.

ძვირფასო ქართველებო, ყოველმა ჩვენგანმა თავისი სული და გული უნდა მოახმაროს ერის ღირსებას; დარგის სპეციალისტებმა თავიანთი საქმე უნდა აკეთონ. პოლიტიკოსი ყველა არ შეიძლება იყოს, ისე როგორც ყველა არ შეიძლება იყოს ინჟინერი, მაგრამ ნურც ყველა ფილოლოგი გამოიცხადებს თავის თავს ერისკაცად.

რა ხდება დღეს საქართველოში. თითოეული იბრძვის ძალაუფლებისთვის და მიმართავენ ყოველგვარ მიუღებელ ფორმებს. თითოეული ისახავს საკუთარ პირად მიზნებს, არა აქვთ შემუშავებული საკუთარი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდეს ერის სამსახურს, სურვილსა და კეთილდღეობას.

უნდა შევიმუშაოთ სახელმწიფო კანონი და დავამყაროთ კანონის უზენაესობა – დიქტატურა, რომელიც დაიცავს ქართველი და ყველა არაქართველი ერის კეთილად განწყობილ ინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ე.წ. „პატრიოტები“ უფსკრულთან მიიყვანენ ჩვენს ერს.

გიორგი გაბესკირია,
1993 წლის 16 სექტემბერი

*P. S. ამჟამად 71 წლისა ვარ და პოზიცია არ შემიცვლია.*

## კომენტარი ო. ხახუშვილის მოსაზრებაზე

*ეროვნული მოძრაობა უხსოვარ დროიდან მოჰყვება ყველა ერს, ვისაც კი დღეს დამოუკიდებელი სახელმწიფო აქვს. ერები, რომელთაც ეროვნული მოძრაობა არ გააჩნდათ, აღარც არსებობენ დედამიწაზე. ბოლოს და ბოლოს, რას წარმოადგენს ეროვნული მოძრაობა? იგი დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთადერთი საშუალებაა. ასე რომ, ო. ხახუშვილის მოსაზრება, ვფიქრობ, სადისკუსიოდაც არ გამოდგება. სამწუხაროა, რომ მსგავსი მოსაზრება ჩვენშიც არაერთს ჰქონია. ეროვნულ მოძრაობას მოკლებული არიან მონური სულის ერები და პერსონები, რომელთაც კუჭის ამოყორვის გარდა არა ახსოვთ რა.*

*ანზორ გვარამია,*
*მწერალი. ქ. თბილისი.*

დისკუსიას უძღვებიან ისტორიკოსი ვახტანგ გურული, პოლიტოლოგი მალხაზ მაცაბერიძე და ჟურნალისტი გურამ გოგიაშვილი.

№ 85. პარასკევი. 4 მაისი, 2007 წელი.

# უცხოური პრესა

● საქართველომ შესთავაზა დახმარება რუსეთს თავისი ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გატანის საკითხში. ასეთი განცხადება გააკეთა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტატების უფროსმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდალთან ანდრეი პოპოვთან გამართული შეხვედრის დროს



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## საქართველო მზად არის, რუსეთის ბაზების გატანას ხელი შეუწყოს

**საქართველომ შესთავაზა დახმარება რუსეთს თავისი ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გატანის საკითხში. ასეთი განცხადება გააკეთა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტატების უფროსმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდალთან ანდრეი პოპოვთან გამართული შეხვედრის დროს. როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო იტყობინება, მოლაპარაკების მთავარი თემა გახდა საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გატანის პროცესი.**

მხარეებმა განიხილეს ასევე რუსეთის ბაზების გატანის პირობები. ამ ეტაპზე ახალქალაქის სამხედრო ბაზიდან, რომლიდანაც ტექნიკის გატანის პროცესი მიმდინარე წელს უნდა დასრულდეს, ტექნიკა გააქვთ კოლონებით, ძირითადად, სომხეთის ქალაქ გიუმრის მიმართულებით, სადაც განლაგებულია რუსეთის ბაზა. 15 მაისიდან კი დაიწყება საქართველოდან ტექნიკის სარკინიგზო ეშელონებით გატანა და სამხედრო ტექნიკით დატვირთული ორი შემადგენლობა აზერბაიჯანის გავლით აიღებს გეზს რუსეთისკენ.

ბათუმის მე-12 სამხედრო ბაზიდან გაიგზავნება ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის ტექნიკით და ქონებით დატვირთული 11 ეშელონი, აქედან 4 – გიუმრიში.

ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის თბილისის გარნიზონის საქართველოდან ვადამდე გაყვანის შესახებ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფარგლებში, 2006 წელს ქვეყნის ტერიტორიიდან გაიყვანეს 387 სამხედრო მოსამსახურე, აგრეთვე გაიტანეს ასამდე ერთეული ჯავშანტექნიკა, 350 ტონა სამხედრო ქონება და საბრძოლო მასალები. საქართველოსა და რუსეთს შორის მიღწეული მორიგების თანახმად, 2007 წლის დამლევისთვის დაგეგმილია რუსეთის ჯარების ახალქალაქის ბაზის მთლიანი გატანა, 2008 წლის დამლევამდე კი რუსმა სამხედროებმა ბათუმიც უნდა დატოვონ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანა არანაირად არ უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომელიც მოსკოვმა იკისრა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში. რუსეთს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მან მთლიანად შეასრულა 2000-2001 წლებში. ამ დოკუმენტის მიხედვით იზღუდება ხუთი კატეგორიის ჩვეულებრივი შეიარაღებისა და ტექნიკის რიცხვი – ტანკები, საბრძოლო ჯავშნიანი მანქანები, 100 მილიმეტრი და მეტი კალიბრის მქონე არტილერია, საბრძოლო თვითმფრინავები, ვერტმფრენები; გათვალისწინებულია აგრეთვე ინფორმაციის გაზიარება ფართო საინსპექციო საქმიანობაზე.

ГазетаСНГ

## ამერიკული სარაკეტო თავდაცვის სისტემები კავკასიაში: საქართველო განიხილავს ამ საკითხს

**საქართველო მზად არის განიხილოს თავის ტერიტორიაზე ამერიკული სარაკეტო თავდაცვის სისტემათა ელემენტების განლაგების შესაძლებლობა. ლონდონის გაზეთს „ფაინენშლ ტაიმსს“ მოჰყავს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის გამონათქვამი, რომელმაც განაცხადა, რომ „შეერთებული შტატები თუ გვეტყვის რა სურს მას, ჩვენ, რა თქმა უნდა, განვიხილავთ ამ წინადადებას“. ამასთან, მინისტრმა აღნიშნა, რომ ვაშინგტონს ჯერჯერობით არ მიუმართავს თბილისისთვის სარაკეტო თავდაცვის სისტემების განლაგების თაობაზე მოლაპარაკების გამართვის წინადადებით.**

ბეჟუაშვილმა ლონდონის გამოცემას ასევე განუცხადა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში „კვლავ გაღრმავდება დაძაბულობა“. „ვფიქრობ, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა მომავალში გაუარესდება“, – მოჰყავს მისი სიტყვები იტარ-ტასს საინფორმაციო სააგენტოს.

1 მარტს ბრიუსელში ამერიკის შეერთებული შტატების სარაკეტო თავდაცვის სააგენტოს დირექტორმა გენერალ-ლეიტენანტმა ჰენრი ობერინგმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ თავისი სარაკეტო თავდაცვის სისტემების ათი სახმელეთო კომპონენტიდან სამის განლაგებას შეერთებული შტატები აპირებს ევროპაში 2011 წლისთვის, მათ შორის ერთი რადარი განთავსდება კავკასიის რეგიონში. დანარჩენი ორი კი ჩეხეთში და პოლონეთის ბალტიის ზღვის სანაპიროზე. ეს ძირითადად იქნება გასაშვები დანადგარები და 10 გადამტაცი-რაკეტა.

„ჩვენ გვსურს განვალაგოთ რადარი ამ რეგიონში (იგულისხმება კავკასია). მართალია, ასეთი დამატებითი რადარი ძალზე სასარგებლო იქნებოდა, მაგრამ მას არ ენიჭება საარსებო მნიშვნელობა სარაკეტო თავდაცვის სისტემებისთვის“, – თქვა ობერინგმა ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე. შექმნის სტადიაში მყოფი სარაკეტო თავდაცვის სისტემებში, რომელთა ცალკეული ელემენტების განლაგება დაგეგმილია აღმოსავლეთ ევროპაში, გათვალისწინებულია მობილური ტრანსპორტაბელური რადარიც, რომელიც შესაძლოა განათავსონ კავკასიის ერთ-ერთ ქვეყანაში. ამერიკელი გენერლის თქმით, ეს რადარი მიუთითებს სამიზნეს უფრო მძლავრ რადიოსალოკაციო სადგურს, რომლის განთავსებაც ჩეხეთშია დაგეგმილი. „რადარი ტრანსპორტაბელურია და მისი განლაგება შესაძლებელი იქნება რეგიონის ნებისმიერ ქვეყანაში სულ რამდენიმე დღის განმავლობაში“, – განაცხადა ობერინგმა. გენერლის განმარტებით, რადარი მიმართული იქნება ირანზე. „ჩვენ არ ვაპირებთ მის მიმართვას რუსეთისკენ. ამის დიდი სურვილიც რომ გვქონდეს, რადარს არ ეყოფა სიმძლავრე იმისთვის, რომ დააფიქსიროს რუსული რაკეტების გაშვება“, – ამტკიცებდა ამერიკელი გენერალი.

ამავე დროს, კავკასიის ტერიტორიაზე ამერიკელთა სარაკეტო თავდაცვის კომპონენტების განლაგების შესაძლებლობა არ დაუდასტურებიათ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ოფიციალურ პირებს. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრომ უარყო ინფორმაცია რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამერიკული სარაკეტო თავდაცვის რადარების განთავსების შესახებ.

სომხეთის სამხედრო უწყებაში ასევე განაცხადეს, რომ არ განუხილავთ რესპუბლიკაში ამერიკული სარაკეტო თავდაცვის ელემენტების განლაგების საკითხი. სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-მდივანმა ვლადიმერ კარაპეტიანმა კი დასძინა, რომ ამის თაობაზე სომხეთს არანაირი ოფიციალური შეტყობინება არ მიუღია.

თავის მხრივ, შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში ჯონ ტეფტმა გასული კვირის დამლევს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ვაშინგტონს არ აქვს საქართველოს ტერიტორიაზე სარაკეტო თავდაცვის ელემენტების განლაგების გეგმა. ამავე დროს, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნიკა რურუამ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებს თუ დასჭირდება საქართველოში სარაკეტო თავდაცვის სისტემების განთავსება, საქართველოს ხელმძღვანელობა განიხილავს ამ საკითხს. საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობის გათვალისწინებით, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, იმაში თუ, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს პარლამენტი.

ИЗВЕСТИЯ



◎ ვინ – ვის?

## დიდი ქვეყნების „სავაჭრო“ უპირატესობა

**მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრება, რომელიც, თავისთავად, საგრძნობი ეკონომიკური სარგებლის მომტანია, რუსეთის ფედერაციისთვის დიდი ხანია საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ერთ-ერთ ქვაკუთხედად იქცა, თუმცა ამ გზაზე არაერთ წინააღმდეგობას გადააწყდა. ერთ-ერთი ასეთი ზღუდე საქართველო გახლავთ, რომელიც გამოვიდა რუსეთთან ხელმოწერილი შეთანხმებიდან და ბლოკავს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის მიღებას.**

რუსეთის პოლიტიკით უკმაყოფილო რომ იყოს, საქართველოს საამისოდ მრავალი მიზეზი აქვს: უწინარესად, რუსეთმა გაზი უსაშველოდ გაგვიძვირა (თანაც ეს კარგა ცინიკური ფორმით გააკეთაძ და სავაჭრო სანქციები დაგვიწესა, თუმცა, როგორც ჩანს, ძირითადი მიზეზი მაინც აფხაზეთსა და შიდა ქართლზე კონტროლის შენარჩუნებაში მდგომარეობს, რომლებთანაც რუსეთი როგორც ლეგალურად, ასევე არალეგალურად, თავისუფლად ვაჭრობს.

საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნა ამ „ღია“ საზღვრების გადაკეთის, ანდა იქ ქართველ მებაჟეთა განლაგების თაობაზე, სავსებით სამართლიანია, მაგრამ, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს – საკმაოდ არარეალური, ვინაიდან საქართველოსთვის, ფაქტობრივად, ანექსირებული ტერიტორიების რეალური მხარდაჭერა დასავლეთის მხრიდან უმნიშვნელოა.

ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ უცხოელი პარტნიორები, მართალია, გაკვირვებას არიან საქართველოში ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის ტემპით, მაგრამ ზოგჯერ ვერც გალიზიანებას მალავენ ხელისუფლების პოლიტიკისა და დიპლომატიის ერთგვარი სპონტატურობის გამო.

ამერიკელი ექსპერტები სინანულს გამოთქვამენ საქართველოს ხელისუფლების ამ ტაქტიკის გამო, რადგან ამერიკას სურს, რომ რუსეთი გაწევრიანდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, ვინაიდან ეს ხელს შეუწყობს უკრაინას პროდასავლური პოზიციის დაკავებაში.

საქართველო კი იმედოვნებს, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის განაცხადთან დაკავშირებით წამოჭრილმა მრავალმა სადაო საკითხმა (ვთქვათ, სარკინიგზო გადაზიდვებზე მაღალ ტარიფებთან დაკავშირებით და ა.შ.ძ შეიძლება აიძულოს სხვა ქვეყნებიც მისი ამ მეტად სოლიდურ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრების წინააღმდეგნი წავიდნენ.

საგულისხმოა, რომ ეს, შესაძლოა, მართლაც ასე მოხდეს, მაგრამ, როგორც წესი, სავაჭრო საკითხებთან დაკავშირებული „ვაჭრობა“ უფრო ხშირად იმით სრულდება, რომ დიდი ქვეყნები, თავიანთი „კუნთების“ გამოისობით, მაინც გამარჯვებულები რჩებიან.

**ოთარ ტურაბელიძე**

● მკვლევარი დავით გვრიტიშვილი აღნიშნავს: „შეიარაღებული ოსთა დიდი ჯგუფები თავს ესხმოდნენ ქართველებით დასახლებულ ხეობებს (აქ იგულისხმება დვალეთიც), ძალით იკავებდნენ ამ ადგილებს და თვითონ სახლდებოდნენ“



◎ სამშობლო

# დვალეთი საქართველოა!

**თუ კოკოითს კითხვა და წაკითხულის გაგება შეუძლია, ისტორიულ წყაროებს ჩახედოს და დარწმუნდება, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, ჯერ კიდევ I საუკუნიდან მოყოლებული, დვალეთს ეკუთვნოდა, ის კი ყოველთვის საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა და მისი ძირითადი მოსახლეობა დვალები იყვნენ.**

დვალეთითა და დვალებით, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნესა და ადრეც მრავალი გამოჩენილი ქართველი და უცხოელი მეცნიერი დაინტერესებულა.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (ტომი 3, გვ. 490ძ, ავტორი ეყრდნობა ვახუშტი ბაგრატიონის, სიმონ ყაუხჩიშვილის, დ. გვრიტიშვილის და ვ. გამრეკელის გამოკვლევებსა და დვალეთის ტერიტორიას შემდეგნაირად აღწერს: „დვალეთი, ისტორიული მხარეა შუა საუკუნეების საქართველოში. ტერიტორიულად მოიცავს კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილს დარიალის ხეობისა და მამისონის უღელტეხილს შორის, ვახუშტი ბაგრატიონს (XVIII ს.ძ მოხსენებული აქვს დვალეთის ხეობები: კასრის-ხევი, ზრამაგა, ჟღელე, ნარა, ზროგო, ზახა, თრუსო, მაღარაანთ დვალეთი, ქართული საისტორიო ტრადიციით, ეს ტერიტორია იბერიის სახელმწიფოს წარმოშობის (ძვ. წ. IV-III ს.ს.ძ დროიდან შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში“.

დვალეთზე გადიოდა ამიერკავკასიიდან ჩრდილო კავკასიაში მიმავალი გზა-გადასასვლელები. ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგაც (XV ს.ძ, დვალეთი ტერიტორიულად ქართლის სამეფოში შედიოდა და XVII საუკუნეში მისი მოურავი გიორგი სააკაძე იყო.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი სპეციალურად შეჩერდა დვალეთის საკითხზე. 1919 წელს ის წერდა: „დვალეთის შესახებ საგანგებოდ უნდა იქნეს აღნიშნული, რომ იგი კავკასიონის უღელტეხილის ორ, მთავარსა და პირიქეთელს, ქედებს შუა არის მოქცეული... ეს დვალეთი იმ ადგილას საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მონაპირე ქვეყანა იყო“. შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ „საუკუნეთა განმავლობაში... საქართველოს მთავრობა ამ კუთხეს (დვალეთიძ საქართველოსთვის ფრიად მნიშვნელოვან კარად თვლიდა და ამის გამო მას ფხიზელ დარაჯად ედგა, საგანგებოდ არდნის გასავალთან ზღუდეც კი ააგო“.

1947 წელს რუსმა მეცნიერმა ზ. სკიტსკიმ გამოაქვეყნა გამოკვლევა, სადაც აღნიშნა, რომ „ძველ ქართულ გეოგრაფიაში დღევანდელ სამხრეთ ოსეთს დვალეთი ეწოდებოდა“. მანვე იმავე წელს ჩრდილო ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომებში გამოაქვეყნა სტატია, სადაც აღნიშნა: „Южная Осетия в старой географии Грузии называется Двалетия“.

ისტორიის უცხოელი მკვლევარი გულდანშტედტი მიუთითებს კუდარზე – ის ჯავის ხეობაშია – და დვალეთი ერქვაო“, წერს. ხოლო მეცნიერი კლაპროთი მთელ ე. წ. სამხრეთ ოსეთს დვალეთს უწოდებს.

დვალეთის ტერიტორიაზე ახლაც ბევრი გეოგრაფიული სახელი ქართულია: ყელი, იზეკარი, მსხლები და ა. შ. ცხინვალის რაიონში დღესაც არის სოფელი დვალიანთკარი.

აკადემიკოს გ. ახვლედიანის ცნობით, ამ ტერიტორიამ სახელწოდება „დვალეთი“ იქ მცხოვრები დვალური გვარის მოსახლეობის გამო მიიღო.

მონღოლთა შემოსევების დროს (XIII ს.ძ და შემდგომში დვალეთში ადგილობრივ მოსახლეობას ავიწროებდნენ ჩრდილოეთიდან დევნილი ოსები და იკავებდნენ ამ ტერიტორიას.

მკვლევარი დავით გვრიტიშვილი აღნიშნავს: „შეიარაღებული ოსთა დიდი ჯგუფები თავს ესხმოდნენ ქართველებით დასახლებულ ხეობებს (აქ იგულისხმება დვალეთიცძ, ძალით იკავებდნენ ამ ადგილებს და თვითონ სახლდებოდნენ“.

ყველა ისტორიული წყარო იმაზე მიგვანიშნებს, რომ დღევანდელი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია საუკუნეების მანძილზე „დვალეთი“ იყო და ყოველთვის შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში.

დვალები შესანიშნავი კალიგრაფები იყვნენ და XI-XIII საუკუნეებში სინას მთაზე, იერუსალიმის ჯვრის მონასტერსა და უცხოეთში მოქმედ სხვა მონასტრებში მოღვაწეობდნენ. ისიც ცნობილია, რომ წმიდა ნიკოლოზ დვალს, რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მოღვაწეობდა, 1314 წელს მაჰმადიანებმა თავი მოჰკვეთეს ქრისტიანობის გავრცელებისათვის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული იმას ადასტურებს, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთი ძირძველი ქართული მხარეა. კოკოითი კი გაიძახის, ეს ოსური ტერიტორია არისო და დამოუკიდებლობასაც იჩემებს.

**ირაკლი დვალი,**
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.

◎ რჩევა

# ბუნებასთან — ჰარმონიაში

*სკოლა რომ დაამთავრა, თუმცა მედიცინა ბავშვობიდან იზიდავდა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარება არც უფიქრია, ორი მიზეზის გამო. პირველი და მთავარი მიზეზი – იმ პერიოდში (1971 წელი ფულიანი აბიტურიენტებისთვის უკვე წინასწარ იყო „დაჯავშნული“ ადგილების უმეტესობა. მეორე: ფსიქოლოგიურად მოუმზადებელს თავდაჯერებულობა აკლდა. წლების შემდეგ მაინც მიაღწია იმას, რაზეც ოცნებობდა და აინტერესებდა. ნატუროპათთა საზოგადოება, ფირმა „ნატუროპათი“, ბიოლოგიური მედიცინისა და ჰომოტოქსიკოლოგიის საზოგადოება, სამედიცინო ცენტრი „ბიომედი“ – მათს დამფუძნებელს და ხელმძღვანელს თენგიზ ტერუნაშვილს სხვა ინტერესების სფეროც აქვს, თუმცა სჯობს ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ.*

**– ბატონო თენგიზ, როდიდან დაიწყო თქვენი დაინტერესება არატრადიციული მედიცინით?**

– საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი და თან სპორტულ დისპანსერში მუშაობდი. მაინტერესებდა მეთოდები, რითაც ტრავმირებულ სპორტსმენს დაეხმარებოდნენ საველე პირობებში. ვგულისხმობ ისეთ პირობებს, როდესაც მედიკამენტები ან ექიმი არ არის სპორტსმენის გვერდით. ცხადია, კლასიკურ მედიცინაში მეთოდები არსებობდა, მაგრამ ჩემთვის უფრო საინტერესო არატრადიციული მეთოდები იყო: ეს იყო ჩინური მედიცინა, ფიტოთერაპია. მოგვიანებით – ჰომეოპათია. ჩინურ მედიცინას ისეთი წერტილოვანი მკურნალობა აქვს, რომელიც ნებისმიერი შოკის, კომატოზური მდგომარეობის, სისხლის შესაჩერებლად, დასამშვიდებლად, ტკივილის გასაყუჩებლად და სხვა შემთხვევების დროსაც საკმაოდ ეფექტიანია. ფიტოთერაპიას (ხალხური მედიცინაძ ჩვენი მამა-პაპანი ჯერ კიდევ საუკუნეების წინათ იყენებდნენ. ლიტერატურას საჯარო ბიბლიოთეკაში ან მეგობრების დახმარებით ვეცნობოდი. ზოგიერთი თემა იმ დროს აკრძალულიც კი იყო.

**– რა მიზნებს ისახავდით ამ საზოგადოებების დაფუძნებით?**

– „ნატუროპათის“ ჩამოყალიბებისას ჩვენი მიზანი იყო საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე შემოგვეტანა ალოპათიური (ქიმიურიძ პრეპარატების ალტერნატიული, უვნებელი პრეპარატები და დაგვენერგა მკურნალობის ეფექტიანი მეთოდები. ნატუროპათიული მედიცინა გულისხმობს ჰომეოპათიას, ფიტოთერაპიას, რაციონალურ კვებას, ფიზიკურ თერაპიას (ბალნეოთერაპია, მასაჟი, მანუალური თერაპიაძ, ანუ ყველა იმ მეთოდსა და საშუალებას, რითაც შეიძლება წარიმართოს ადამიანის მკურნალობა ორგანიზმის საკუთარი მარეგულირებელი ძალების საშუალებით. ამ იდეის განსახორციელებლად 1993 წელს ნატუროპათთა საზოგადოება ჩამოვაყალიბეთ და ენთუზიასტები შემოვიკრიბეთ. სანკტ-პეტერბურგში ერთ-ერთ სიმპოზიუმზე, 1994 წელს ჰომეოპათიის სხვადასხვა მიმართულებას გავეცანი, მათ შორის ჰომოტოქსიკოლოგიას. გერმანიის საკურორტო ქალაქ ბადენ-ბადენში არის ჰომოტოქსიკოლოგიის ცენტრი, აქვე ქარხანა რუუდთან ხელშეკრულება გავაფორმეთ და 70-ზე მეტი დასახელების პრეპარატი შემოგვაქვს საქართველოში.

**– თქვენ თავად მხოლოდ ამ წამლებს სვამთ?**

– არც ადრე ვიყავი ალოპათიური წამლების მომხმარებელი. ჩემი ოჯახი ანტიბიოტიკებს საერთოდ არ ეკარება. ჩვენი შემოტანილი ყველა პრეპარატი რეგისტრირებულია და შეტანილია მსოფლიოში ცნობილი ვიდალის ფარმაცევტული პრეპარატების ცნობარში. საინტერესოა ისიც, რომ ეს საშუალებები ჩვილი ბავშვებისთვის და ფეხმძიმე ქალებისთვისაც უვნებელია. ჰომოტოქსიკოლოგია ცალკე სპეციალობა არ არის. ეს მეთოდი სასურველია ყველა ექიმმა იცოდეს.

**– თქვენ სპორტსმენიც იყავით და სხვადასხვა სახეობაში ვარჯიშობდით...**

– მოცურავეც ვიყავი, თავისუფალ ჭიდაობაზეც დავდიოდი, აკადემიურ ნიჩბოსნობაზეც, ბოლოს – მშვილდოსნობაზე, შემოვრჩი კიდეც. მწვრთნელადაც ვმუშაობდი. ვამაყობ, რომ ბევრი კარგი მშვილდოსანი აღვზარდე. მათ შორის გამორჩეულები იყვნენ ლელა აფციაური, დარეჯან ხურციძე, დავით თევდორაძე... სპორტსმენთა ფსიქომარეგულირებელი წვრთნის ერთ მაგალითს მოვიყვან. სპორტსმენი ჯერ წარმოსახვით აკეთებს ილეთს. თუ ეს შეძლო, მაშინ ფიზიკურადაც გააკეთებს. ჩემს სპორტსმენებს გონებრივ ვარჯიშებსაც ვუტარებდი. ზოგს, როგორც ამბობენ, „შემოლაწუნება“ უნდოდა, ზოგს – დამშვიდება.





**– თქვენ საქართველოს მშვილდოსანთა ფედერაციის პრეზიდენტი ხართ. რა ხდება დღეს სპორტის ამ სახეობაში?**

– 30 წელზე მეტია მშვილდოსნობაში ვარ. 2005 წლის მარტში პრეზიდენტად ამირჩიეს. მანამდე გამგეობის წევრი და ფედერაციის თანადამფუძნებელი ვიყავი. ჩვენთან მხოლოდ სპორტული მშვილდოსნობაა განვითარებული, რადგან ოლიმპიურ თამაშებში შედის. არის ასეთი სახეობაც – კიოტო. ვინც კარატეს მისდევს, მან აუცილებლად უნდა ივარჯიშოს კიოტოში, რადგან ისრის მიზანში ტყორცნა თვითმიზანი კი არ არის, ყურადღების კონცენტრაციას და სხეულის კონტროლის უნარს ანვითარებს. ჩვენ სპორტსმენებს კარგი მიღწევები აქვთ. ქალები გამორჩეულები არიან. ამას გენეტიკურ ტრადიციას მივაწერ. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში იტალიელი მისიონერი კასტელი საქართველოში მოგზაურობისას ერთ-ერთ ჩანახატში ქართველ ამორძალ ქალებს აღწერს სროლის დროს. გენეტიკა გამოვლინდა ქეთავან ლოსაბერიძეში, ჩვენს საამაყო ოლიმპიურ ჩემპიონში. დღეს, სამწუხაროდ, მშვილდოსნებს სტაციონალური საწვრთნელი ბაზა არა აქვთ. მიუხედავად ამისა, ძლიერი და პერსპექტიული სპორტსმენები ახლაც გვყავს. ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა და ასმათ დიასამიძე მსოფლიოს საუკეთესო ოცეულში შედიან.

**– რას გვირჩევდით ისეთს, ყველამ რომ გავითვალისწინოთ...**

– უნდა ვიცხოვროთ ბუნებასთან ჰარმონიაში. ბუნებაში ვგულისხმობ ყველაფერს მთლიანობაში, მათ შორის რელიგიური წესების დაცვასაც. თუ ცხოვრების ჯანსაღ წესს დავიცავთ და შევინარჩუნებთ ჯანმრთელობას, ადამიანები ბედნიერები ვიქნებით.

**ნანული ზოტიკიშვილი**

# დღევანდელობა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილეს დავით კეკუას ბრალად ედება სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენება, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია, ექსპერტიზის ყალბი დასკვნის გაცემისკენ წაქეზება.**



ინფორმაცია

## ეს თვითმმართველობების გაღატაკების მცდელობაა

**საპარლამენტო ფრაქცია მემარჯვენე ოპოზიციაში საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას, რომლის მიხედვითაც საშემოსავლო გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ნაცვლად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა ჩაირიცხოს, თვითმმართველობების გაღატაკების მცდელობად აფასებენ.**

როგორც მემარჯვენეების წევრმა ირაკლი იაშვილმა განაცხადა, რომ დემოკრატიული ქვეყნების პრინციპი თვითმმართველობების გაძლიერებაა. მისივე აზრით, პრეზიდენტის ეს ინიციატივა საქართველოში ამ პრინციპის ნულამდე დაყვანას ემსახურება და ქვეყანა უნიტარული სახელმწიფოსკენ მიდის.

იაშვილის თქმით, ინიციატივის განხორციელების შემდეგ ხელისუფლება თანხებს რაიონებზე სწორედ მაჟორიტარი დეპუტატების მიხედვით გაანაწილებს – თუ რაიონს მისთვის მოსაწონი მაჟორიტარი ჰყავს, ეს რაიონი მეტ თანხას მიიღებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი – მინიმალურს.

მემარჯვენე მამუკა კაციტაძის შეფასებით, ამ გადაწყვეტილების შემდეგ თვითმმართველობებს მთლიანად ერთმევათ ექსკლუზიური კომპეტენციები და საერთოდ გაღატაკება ემუქრებათ. მისივე აზრით, ამ ინიციატივის შემდეგ თვითმმართველობებს განვითარების მოტივაცია დაეკარგებათ.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას, ის „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ კანონში ცვლილებებს ითვალისწინებს.

კანონპროექტის თანახმად, საშემოსავლო გადასახადი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ნაცვლად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხება და შემდეგ განაწილდება.

კანონპროექტის განხილვა საპარლამენტო კომიტეტში უახლოეს მომავალში იგეგმება.

## ბათიაშვილის საქმეზე გამომძიებელი და პროფესორი დაკითხეს

**„წინ საქართველოს“ ლიდერის ირაკლი ბათიაშვილის გუშინდელ სასამართლო პროცესზე სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდიძ გამომძიებელი ზურაბ ბეიტრიშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი დაიკითხნენ.**



როგორც გამომძიებელმა განაცხადა, კომპაქტდისკები, სადაც ბათიაშვილის ნორა და ემზარ კვიციანებთან სატელეფონო საუბრების ჩანაწერებია, არ მოუსმენია და არ უნახავს. ამის მიუხედავად, გამომძიებელმა განმარტა, რომ ორი დადგენილებით კომპაქტდისკები ნივთიერ მტკიცებულებებად ცნო და სისხლის სამართლის საქმეს დაურთო.

ბეიტრიშვილმა აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ- ტექნიკური დეპარტამენტიდან მან მხოლოდ „კრესტის“ სახით აუდიოჩანაწერის დეშიფრირებული ვარიანტი მიიღო, რომელსაც გაეცნო.

ამასთან დაკავშირებით, დაცვის მხარემ განაცხადა, რომ გამომძიებელმა, როდესაც არ ნახა კომპაქტდისკები და ნივთიერ მტკიცებულებებად ისე ცნო, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის 121-ე და 122-ე მუხლები დაარღვია.

რაც შეეხება მეორე მოწმეს, თსუ-ს პროფესორს გიორგი გოგოლაშვილს, მან განაცხადა, რომ ირაკლი ბათიაშვილი 2006 წლის ივლისში მართლაც იღებდა უნივერსიტეტის პროფესორების აქციაში მონაწილეობას. მისი განმარტებით, აქციების ლოზუნგი იყო უნივერსიტეტში არსებული პრობლემები და ისინი არანაირად არ უკავშირდებოდა ემზარ კვიციანსა და კოდორში მომხდარ ამბოხებას.

## ომბუდსმენის სამსახური ცხინვალის რეგიონსაც სჭირდება



**საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი მიესალმება 2007 წლის 23 აპრილს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას და გამოთქვამს სრულ მხარდაჭერას ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით.**

ომბუდსმენის აპარატის ცნობით, საქართველოს პრეზიდენტმა ყველას მოუწოდა კონკრეტული წინადადებებისა და შეთავაზებისაკენ. „აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია ამ რეგიონში სახალხო დამცველის რეგიონული სამსახურის ამოქმედება. ეს ხელს შეუწყობს ეთნიკური ოსების, ეთნიკური ქართველებისა და რეგიონში მცხოვრები ყველა ადამიანის კეთილდღეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ყველა ეთნიკურ ჯგუფს შორის მშვიდობის დამყარებას. მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა იქნება იმის წინაპირობა, რომ არასოდეს განახლდეს რაიმე სახის კონფლიქტი, არ დადგეს ეჭვქვეშ ჩვენი ერთიანი ქვეყნის საზღვრები და ჩვენი ქვეყნის მომავალი“, - აღნიშნულია სახალხო დამცველის განცხადებაში.

## „ფაშიზმი არ გაქრის!“

**ორგანიზაცია „ახალგაზრდა რუსეთის“ აქტივისტებმა მოსკოვში, საქართველოს საელჩოსთან არასანქცირებული აქცია გამართეს.**

– ჩვენმა აქტივისტებმა საელჩოს პერიმეტრი ტარაკნების საწინააღმდეგო ცარცით შემოხაზეს, შემდეგ კი რამდენიმე კოცონი აანთეს, – განაცხადეს ორგანიზაციაში.

ამასთანავე, აქტივისტები სკანდირებდნენ შეძახლით – „ფაშიზმი არ გაქრის!“.

მათივე თქმით, აქტივისტების გაღიზიანება გამოიწვია ოფიციალური თბილისის განცხადებამ, რომელშიც გამოთქმულია ესტონეთისადმი მხარდაჭერა საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლის დემონტაჟთან დაკავშირებით.

## სტუდენტებს სიგუაში გაცვლიან

**აფხაზ სეპარატისტთა ტყვეობაში მყოფ სამ ქართველ სტუდენტს სეპარატისტულ აფხაზეთში მოქმედი „ადვოკატთა კოლეგიის“ წარმომადგენლები იცავენ.**

სტუდენტების ერთ-ერთი ადვოკატის ი. ზარანდიას თქმით, „მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების საქმე ამჟამად სასამართლოშია. პროცესის ჩატარების კონკრეტული ვადები, ჯერჯერობით, უცნობია“.

აფხაზური მხარის ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში მიღებულია სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ბრალდებით დაკავებულ ადამიანთა დეპორტირება, სტუდენტების შემთხვევაში ასე არ მოხდა.

– ამის მიზეზი კი არის ის, რომ საქართველოში უკანონო პატიმრობაში იმყოფება გალის რაიონის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დავით სიგუა, რომლის განთავისუფლებას აფხაზური მხარე დაუყოვნებლივ მოითხოვს, – აცხადებენ სეპარატისტები.

## კეკუას ბედი სუბარმა იწინასწარმეტყველა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის დავით კეკუას დაკავებასთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა გუშინ განცხადება გაავრცელა.**

როგორც სახალხო დამცველის აპარატიდან იტყობინებიან, ჯერ კიდევ 2004 წელს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საანგარიშო მოხსენებაში სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ თბილისის შს სამმართველოს მაღალი თანამდებობის პირები, მათ შორის დავით კეკუა, მათთვის სასურველი ჩვენების მოპოვების მიზნით ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდნენ დაკავებულებზე.

მათივე ცნობით, საანგარიშო მოხსენებაში მოყვანილი იყო კონკრეტული ფაქტი და ეს ქმედება შეფასებული იყო, როგორც წამება და არაჰუმანური მოპყრობა.

თუმცა, როგორც სახალხო დამცველის განცხადებაშია აღნიშნული, მოხსენების გამოქვეყნების შემდეგაც დავით კეკუა დიდხანს განაგრძობდა სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილეს დავით კეკუას ბრალად ედება სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენება, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია, ექსპერტიზის ყალბი დასკვნის გაცემისკენ წაქეზება. კეკუას ორთვიანი წინასწარი პატიმრობა უკვე შეეფარდა.

* * *

**„ეი-ი-ეს თელასის“ ფინანსური მენეჯერის ნიკა ლომინაძის მკვლელობის ორგანიზებაში მსჯავრდებული გიორგი გვიჩიანის ადვოკატები დავით კეკუას მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს გაყალბებულს უწოდებენ.**



როგორც გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ადვოკატმა მალხაზ ჯანგირაშვილმა განაცხადა, საქმე იმთავითვე გაყალბებული იყო და კეკუას შემთხვევაშიც იგივე მეორდება.

ჯანგირაშვილი მიიჩნევს, რომ საქმეში მკვლელობის ტყვია პროკურატურის ინტერესების საწინააღმდეგოდ იყო „გაჩხერილი“, ამიტომ ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ტყვია „საქმიდან გამქრალიყო“.

– პროკურატურის მიერ კეკუას დაკავებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ მან მკვლელობის ადგილის მეორედ დათვალიერებისას ტყვია იქ მალულად დააგდო. პარადოქსულია, რომ მთელ სისხლის სამართლის საქმეში ვერსად იპოვით შემთხვევის ადგილის მეორედ დათვალიერების ოქმს, იქ მხოლოდ ერთხელ დათვალიერების ოქმი დევს და გამომძიებელ დვალიშვილის მიერ აღნიშნულია, რომ ტყვიის გულა ბალიშის პირში იქნა ნაპოვნი,– აღნიშნა ადვოკატმა.

მისივე თქმით, ადგილის დათვალიერებას გამომძიებლებთან ერთად შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებიც ესწრებოდნენ და თუ გაყალბება მართლაც ღირდა, სისხლის სამართლის საქმე მათ წინააღმდეგაც უნდა აღიძრას.

მისივე თქმით, საქმის ზედამხედველი გამომძიებელი ანზორ ხვადაგიანი თავად არის სისხლის სამართლის დამნაშავე იმ დანაშაულებისთვის, რაც მან გიორგი გვიჩიანის მიმართ ჩაიდინა.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

მშენებლობა

## მაინც ჯანმრთელად ყოფნა ჯობს

**ჯანდაცვის სექტორში ინვესტიციების მოსაზიდად ჰოსპიტალური სექტორის №7 პროექტზე განცხადებების განხილვის პირველი ეტაპი დასრულდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში. თავდაპირველად სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ორმა ფარმაცევტულმა და ორმა სამშენებლო კომპანიამ. ესენი არიან PSP და „ავერსი“, აგრეთვე „ ახალი სტილი“ და „კიდი“. მიღებული ოთხი განაცხადიდან სამინისტროს კომისიამ ორი საუკეთესო შეარჩია. პირველ ტურში გაიმარჯვეს PSP-მ და „ახალმა სტილმა“. კონკურსის მეორე ტურში გასული კომპანიები ვალდებულებას კისრულობენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ააშენონ რამდენიმე 815-საწოლიანი საავადმყოფო.**

**ალსანიშნავია, რომ სამინისტროში წარდგენილ კონფიდენციალურ განაცხადებში კომპანიებს ასაშენებელ საავადმყოფოებში საწოლების ერთნაირი რაოდენობა ჰქონდათ მითითებული, განსხვავება მხოლოდ მშენებლობის დასრულების ვადებში იყო, რაც იმის მიზეზი გახდა, რომ საკონკურსო კომისიამ გამარჯვებულის გამოსავლენად კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთკვირიანი ვადა აიღო, რომლის გასვლის შემდეგ გამარჯვებულს დაასახელებს.**

**გამარჯვებულ კომპანიას გადაეცემა ჭავჭავაძის პროსპექტზე მე-9 საავადმყოფოს ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობები. გარდა ამისა, საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულია ორი წლის განმავლობაში საავადმყოფოს ტერიტორიაზე ამჟამად მოქმედი სამსახურების შენარჩუნება და სამედიცინო უნივერსიტეტის ვილარიუმის კორპუსის გარემონტება.**

**კონკურსში მონაწილე კომპანიებმა აღებულ ვალდებულებათა შესასრულებლად კომისიას ხუთ მილიონ დოლარზე მეტი საბანკო გარანტია წარუდგინეს.**

**ოთარ ტურაბელიძე**

# სპორტი

● ვულოცავთ ათენის მკვიდრთ, რომ მათი ქალაქის შესაძლო დარბევის ალბათობა საგრძნობლად შემცირდა. როგორი საქმეა, 23 მაისს ელადაში ინგლისური ფინალი რომ გამართულიყო?



**◎ ორბიტაზე**

## აპრილში თავი გამოიჩინეს

**ევროპის სპორტული გამოცემების ასოციაციამ (ESM) ტრადიციულად განსაზღვრა, რასაკვირველია, ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატების თამაშების შედეგების მიხედვით, აპრილის სიმბოლური ნაკრები.**

**მასში ადგილები მოიპოვეს:** **რეინამ** („ლივერპული" – 4 ხმა), **დანიელ ალვეშმა** („სევილია" – 4ქ), **მატერაციმ** („ინტერი" – 5ქ), **სერხიო რამოსმა** („რეალი" – 3ქ), **კრიშტიანუ რონალდუმ** („მანჩესტერ იუნაიტედი" – 8ქ), **მესიმ** („ბარსელონა" – 5ქ), **კაკამ** („მილანი" – 8ქ), **სტანკოვიჩმა** („ინტერი" – 3ქ), **რუნიმ** („მანჩესტერ იუნაიტედი" – 8ქ), **ალფონსუ ალვეშმა** („ჰერენვენი" – 4ქ), **დროგბამ** („ჩელსი"– 4ქ).

* * *

**საუკეთესო ბომბარდირების კონკურსში „ოქროს ბუცი" ლიდერობს ჰოლანდიური „ჰერენვენის" ბრაზილიელი თავდამსხმელი ალფონსუ ალვეში – 51 ქულა (34 გოლი გამრავლებული ეროვნული ჩემპიონატის კოეფიციენტზე).** მეორე ადგილზეა **ფრანჩესკო ტოტი** („რომა" – 42 ქულა), შემდეგ 38-38 ქულით მოდიან **ფრედერიკ კანუტე** („სევილია"), **დიეგო მილიტო** („სარაგოსა"), **დიდიე დროგბა** („ჩელსი") და **თეოფანის გეკასი** („ბოხუმი").

## ორმაგი საწუხარი

**თითქოს ლონდონის „ჩელსისთვის" არ კმაროდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის საპასუხო მატჩში „ლივერპულთან" დამარცხება,**



**მეორე უბედურებაც დაატყდა თავს.** ლივერპულიდან დაბრუნებისას პიტერბოროს მახლობლად ვერტმფრენის კატასტროფისას დაიღუპნენ „ჩელსის" გულშემატკივრები, მათ შორის კლუბის საპატიო ვიცე-პრეზიდენტი და სპონსორი, მილიონერი ფილიპ კარტერი. მისი ქონება დაახლოებით 190 მილიონ დოლარად იყო შეფასებული.

ავიაკატასტროფას შეეწირნენ აგრეთვე კარტერის ოჯახის წევრები და ვერტმფრენის პილოტი.

**◎ სფფ**

# ესეც სამაია

**დღეს იწურება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე ასარჩევ კანდიდატთა წარდგენის ვადა.**

სფფ-ს მოქმედ თავკაც ნოდარ ახალკაცსა და დედაქალაქის საკრებულოს დეპუტატს, ეროვნული ნაკრების ყოფილ კაპიტან გიორგი ნემსაძეს გუშინ მამუკა კვარაცხელია შეუერთდა – დანიიდან სამშობლოში ახლახან დაბრუნებული ჩვენი კოლეგის სარეგისტრაციო საბუთები ფედერაციის გენერალურ სამდივნოში რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონულმა ფედერაციამ შეიტანა.

ბუნებრივია, 13 მაისს დანიშნულ სფფ ყრილობაზე გადამწყვეტი თითოეული მათგანის საარჩევნო პროგრამა იქნება, თუმცა არანაკლებ საინტერესოა კონკურენტთა ურთიერთდამოკიდებულებაც.

კვარაცხელია, მოგეხსენებათ, უმცროსი ახალკაცის ორწლიანი მოღვაწეობის პირუთვნელი შეფასებით გამოირჩევა, ნემსაძესთან კი, როგორც თვითონ აღნიშნა, ცალკეულ საკითხებში განსხვავებული პოზიციის მიუხედავად, ქართული ფეხბურთის განვითარების სტრატეგიულ გეზზე ერთნაირი შეხედულება და ნორმალური პიროვნული ურთიერთობა აკავშირებს.

**◎ კალათბურთი**

# იწყება „ოთხთა ფინალი"



**დღეს საბერძნეთის დედაქალაქში ევროლიგის დასკვნითი ეტაპი იწყება – კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ნახევარფინალში თასის ამჟამინდელი მფლობელი ცსკა „უნიკახას" ეთამაშება, „პანათინაიკოსს" კი მეტოქეობას კიდევ ერთი ესპანური კლუბი „ტაუგრესი" გაუწევს.**

პირველ წყვილში მიმომხილველთა უმეტესობას უპირობო ფავორიტად მოსკოველი არმიელები მიაჩნია, თუმცა, ვფიქრობთ, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მალაგელებმა გათამაშებიდან თვით მრისხანე „ბარსელონა" გამოთიშეს.

რაც შეეხება მასპინძელთა დუელს პირინეელებთან, საკუთარი მოედნისა და ფანატიკოსთა გულშემატკივრობის მიუხედავად, ელადელებს მძიმე ბრძოლა უნდა გადახდეთ – სტუმრებსაც ხომ გასათვალისწინებელი კოზირები გააჩნიათ, რაც ჯგუფურ რაუნდებში დაამტკიცეს.

**◎ ჩემპიონთა ლიგა**

# როცა ბუნებაც ტირის

**ვინ თქვა, წვიმა ინგლისელთა მეკავშირეაო. ეს რომ მთლად ასე არაა, ქართველებიც დავრწმუნდით, როცა თბილისის „დინამომ" 1979 წლის ოქტომბრის თავსხმაში მრისხანე „ლივერპული" დააჩოქა 3:0.**

ბუნების ჭირვეულობის თანხლებით ამჯერად „მანჩესტერის" გედის სიმღერა მოვისმინეთ, რომელიც იმავე ანგარიშით „სან სიროზე" შერცხვა (კაკა, ზეედორფი, ჯილარდინო). სასიამოვნოა, რომ ტრავმირებული მალდინი „მილანის" დაცვის ცენტრში ღირსეულად შეცვალა კალაძემ. მეტიც, კახა პარტნიორთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ, რაც საქართველოს ეროვნული ნაკრების მოახლოებული შესარჩევი მატჩების წინ ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს.



რაც შეეხება „როსონერის" ტრიუმფს, იგი ამჯერადაც კაკას გენიალური თამაშით გამოიჭედა, რომელმაც თვით კრიშტიანუ რონალდუ დაჩრდილა. აღსანიშნავია უზერებელი ზეედორფისა და გატუზოს გარჯაც.

დასასრულს, ვულოცავთ ათენის მკვიდრთ, რომ მათი ქალაქის შესაძლო დარბევის ალბათობა საგრძნობლად შემცირდა. როგორი საქმეა, 23 მაისს ელადაში ინგლისური ფინალი რომ გამართულიყო?

* * *

**ბელგიაში დაიწყო 17 წლამდე ასაკის ჭაბუკ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი. გაუწყებთ სასტარტო მატჩების შედეგებს:**

ესპანეთი – საფრანგეთი 2:0,
ინგლისი – ისლანდია 2:0,
ბელგია – ჰოლანდია 2:2,
გერმანია – უკრაინა 2:0.

**◎ დინასტია**

# მიხეილ წვერავა: მხოლოდ იმ საქმეს ვაკეთებ, რომელიც მიყვარს და ვიცი

**დიდი ხანია, ორ დიდ სიყვარულს ემსახურება – მედიცინას და სპორტს. ორივე ბავშვობისდროინდელი გატაცებაა. უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ მიხეილ წვერავა ოჯახური ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელია. დიდი პაპა და ბაბუა დასტაქრები იყვნენ, დედ-მამაც და მამიდაც ექიმები არიან. ამგვარ წრეში გაზრდილს სხვა რა უნდა ეკეთებინა – სკოლის დამთავრების შემდეგ სწორედ სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა. დღეს კი საქვეყნოდ ცნობილი თერაპევტი და ექოსკოპისტია. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხეჩინაშვილის სახელობის კლინიკური საავადმყოფოს შინაგან სნეულებათა კლინიკის ხელმძღვანელი, სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მიხეილ წვერავა 80-მდე სამეცნიერო შრომის, ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით დიაგნოსტიკაში სახელმძღვანელოს ავტორი და ერთ-ერთი ატლასის თანაავტორი გახლავთ. ხუთი წელიწადია, რეგულარულად ესწრება ევროპის კარდიოლოგთა კონფერენციებს. ამ დღეებში პარიზსა და მილანში სამეცნიერო სესიებზე გამოვა მოხსენებებით აზოტის ქვეჟანგის ფიზიოლოგიური მნიშვნელობისა და არტერიული ჰიპერტენზიის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.**

**კმაყოფილი არიან პაციენტები – მიკა წვერავას დასმული დიაგნოზი უტყუარიაო.**

– ავადმყოფობა ყოველთვის ისეთი როდია, როგორც წიგნშია აღწერილი, **– მითხრა ბატონმა მიხეილმა.** – სწორი დიაგნოზის დასმა განსაკუთრებით დაავადების საწყის სტადიაში ჭირს, როცა ყველა სიმპტომი არ ჩანს, თუმცა დღევანდელი ტექნიკური აღჭურვილობის მეშვეობით დიაგნოსტიკა უფრო ზუსტია. მთავარია, ადამიანმა ის საქმე აკეთოს, რომელიც გიყვარს და იცი.

**– მსმენია, სპორტითაც ყოფილხართ გატაცებული...**

– მამაჩემი, დიტო წვერავა, ცხენოსანი გახლდათ – საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, საკავშირო პირველობების მონაწილე. დღემდე სპორტის დიდი ფანატიკოსია. სწორედ მან მიმიყვანა 6 წლისა ფიგურულ სრიალზე. მერე სპორტის სხვადასხვა სახეობაშიც ვცადე ბედი: დავდიოდი ტანვარჯიშსა და კრივზე; სამბოში სპორტის ოსტატობის კანდიდატიც გავხდი – სამედიცინო ინსტიტუტების საკავშირო პირველობაზეც კი მიჭიდავია. თუმცა, ყველაზე მეტი დრო მაინც კარატეს დავუთმე.

მოგეხსენებათ, სამოციანი წლების დასაწყისში აღმოსავლური ორთაბრძოლები ყოფილ საბჭოეთში უცხო ხილი გახლდათ. იშვიათად პრესის ფურცლებზე თუ წააწყდებოდით რაიმე ინფორმაციას, თორემ სექციებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. 1964 წელს ასე შემთხვევით წავიკითხე სტატია კარატეზე. დავიწყე ლიტერატურის მოძიება. ვიშოვე ერთი ფრანგული წიგნი და ბებიას დახმარებით (მან ფრანგული კარგად იცოდა) დავიწყე მისი თარგმნა.

ჩემი მეზობელი პაატა ჯიჯეიშვილი იოგაში ვარჯიშობდა. თურმე, ისიც კარატეთი ყოფილა დაინტერესებული. ამან უფრო დაგვაახლოვა. მოგვიანებით ზურაბ ლეჟავა, კუკური ჭაბუკიანი და ვოვა გონჩარენკო გავიცანით, ხოლო შემდეგ იური ყეინაშვილი, დათო სულაქველიძე, გოგა ბერიძე და დათო სუხიშვილი შემოგვიერთდნენ.

კვირაობით ცირკის უკან რესტორან „არაგვთან" მდებარე პატარა მოედანზე ვიკრიბებოდით სავარჯიშოდ. მართალია, მაშინ კარატე აკრძალული არ იყო, მაგრამ მაინც ვგრძნობდით, რომ უშიშროების სამსახური გვითვალთვალებდა. ამის მიუხედავად, სამოცდაათიანი წლების მიწურულს ჩვენი ჯგუფი გაიზარდა, დაგვემატნენ ავთო რუხაშვილი, ავთო მიქაძე, დავით თევზაძე, ვადიმ გულბანი, ჯიმი ანთელავა და სხვები. გავიგეთ, რომ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა ლაოსელი კარატისტი ბუნლაპ ჩათხავისუკი. დახმარება ვთხოვეთ და ისიც სიამოვნებით დაგვთანხმდა.

**– რას მიაღწიეთ?**

– შავი ქამარი და პირველი დანი მაქვს შოტოკანში, ხოლო გოჯურიუსა და შიტორიუში – ყავისფერი ქამარი და მესამე კიუ, უმთავრესი კი მაინც წრთობაა – სირთულეების დაძლევის უებარი საშუალება. სამსახური ნაკლებად მღლის. რომ არა სპორტი, შესაძლოა, ბევრი რამისთვის ვერც მიმეღწია. ამიტომ ახლაც რეგულარულად ვვარჯიშობს და სულ „ფორმაში" ვარ.

**– იქნებ, კურიოზიც გაიხსენოთ.**

– ოთხი წელიწადი „დინამოს" სტადიონის სამედიცინო კაბინეტში ვიმუშავე შეთავსებით. დღის მეორე ნახევარში როცა მარტო ვრჩებოდი, ოთახში ჩავიკეტებოდი და ვვარჯიშობდი. ერთხელ ბრახუნი მომესმა. ოფლიანმა თეთრი ხალათი მოვიცვი და კარი გავაღე თუ არა, სტადიონის დირექტორ ბორის პაიჭაძეს შევეჩეხე. მან ამხედდამხედა, უხმოდ მოიარა ოთახები და უსიტყვოდ დატოვა იქაურობა. „ფეხბურთის კარუზო" კიდევ ორჯერ მესტუმრა ასე მოულოდნელად. ვერაფრით ამეხსნა ეს უცნაურობა. თავადვე მიშველა: მითხარი, სად მალავ და ყველაფერს გაპატიებო, თქვა ბოლო ვიზიტისას. რას-მეთქი. რას კი არა, ვისო, – გაიმეორა გაბრაზებულმა და გაოფლიანებულ ტანზე მიმითითა.

– ბატონო ბორის, კარატისტი ვარ და საღამოობით ვვარჯიშობ-მეთქი. შვებით ამოისუნთქა. ასე გეთქვა, დალოცვილო. მე კი „შენი ქალის" ძებნაში თანამშრომლებს მთელი სტადიონი გადავაქოთებინეო...

გასახსენებელს რა გამოულევს სახელოვან დასტაქარსა და სპორტსმენს, ორი ექიმის (დიტო თერაპევტია, ლიკა – ფსიქიატრი) მამას და ერთი შვილიშვილის ბაბუას, რომელსაც დღეს 55 წელი შეუსრულდა.

იუბილეს გილოცავთ, ბატონო მიკა!

**ვაჟა დანელია**





**სურათებზე: მიკა წვერავა ვარჯიშისას; ოჯახური ალბომი – მიხეილი, ლიკა, დიტო და დიმიტრი წვერავები.**

**მართალია, წლეულს გაზაფხულმა ძალიან დაიგვიანა, მაგრამ ამინდის ეს ჭირვეულობა ბავშვებში გამოძახილს სულაც არ იწვევს, პირიქით, იქ, სადაც ბავშვებია, გაზაფხულიცაა, მათი „თვალებით მუდამ აპრილი მოდის“.**



◉ ნორჩთა ნახელავი

# არ მოგვშლოდეთ ამ მთა-ბარის სიყვარული!

**მართალია, წლეულს გაზაფხულმა ძალიან დაიგვიანა, მაგრამ ამინდის ეს ჭირვეულობა ბავშვებში გამოძახილს სულაც არ იწვევს, პირიქით, იქ, სადაც ბავშვებია, გაზაფხულიცაა, მათი „თვალებით მუდამ აპრილი მოდის“. ეს იგრძნობა მათ ნახატებში, რომლებიც ახლახან გამოიფინა შალვა დადიანის სახელობის ხელოვნების მუშაკთა სახლში.** ხალისიანი განწყობილება და უხვი ფერადოვნება ავსებს საექსპოზიციო სივრცეს. ბავშვები მათთვის ჩვეული უშუალობითა და გულწრფელობით აცოცხლებენ სამყაროს, რომელშიც ცხოვრობენ. „ჩვენი ქვეყნის მთა-ბარი“ – ასე ეწოდება ამ გამოფენას. როგორ ხედავს 121 ბავშვი თავის სამშობლოს, თავის ხალხს, თავის წყალ-ჭალას, ველმინდვრებს, ცხოველთა სამყაროს, თანატოლებსა და საკუთარ თავს? მათ თვალს ლიბრის ნასახიც არ აქვს და ყველაფერს გამჭვირვალედ ხედავენ ისეთი პირვანდელი ფორმით, როგორიც უფალმა გვაჩუქა ეს ქვეყანა და უმანკოდ ჩაგვაბარა.

საკმაოდ ვრცელი ექსპოზიცია 120-ზე მეტ ნამუშევარს მოიცავს და ცხადია, მეტ-ნაკლები მხატვრული დონით ხასიათდება, მაგრამ ეს არ არის მთავარი, მნიშვნელოვანია ის, რომ ყმაწვილებს ხატვა უყვართ, ეხალისებათ და ხატავენ იმ მასალით, რაც ხელეწიფებათ, ფანქრებით, გუაშით, აკვარელით, ზეთით... აქ ჩანს მათი ზრდა და სწრაფვა უკეთესობისაკენ.



რას არ სწვდება მათი უშრეტი ფანტაზია და გამომგონებლობა. ყმაწვილები თავიანთ წარმოსახვებს უმეტესად პეიზაჟებსა და ნატურმორტებში აცოცხლებენ, ყველაზე ნაკლებად პორტრეტს მიმართავენ და მათზე მეტწილად დედას გამოსახავენ. ზოგი ნამუშევრიდან უკვე მომავალი ოსტატი იმზირება. დამთვალიერებელი იხიბლება ია მაჩხაშვილის, რუსუდან ტყემალაძის, ელენე თავაძის, თამარ ბებიას, მედეა შემოზაშვილის, სალომე გოგიბერიძის, ვახტანგ და ნიკა ნინიკაშვილების ნამუშევრებით.

მეტყველია სოფიკო თათარაშვილის, თაკო ლომიძის, ხატია ხატიაშვილის, მაია ბურჯანაძის, გიორგი ხიმშიაშვილის პეიზაჟები. მათ ფერის კარგი გრძნობა და ფაქიზი კოლორიტი გამოარჩევს. ძველი თბილისის თემას აუღელვებია ვერა მიზელკა, მარიკა კახელიშვილი...

გამოფენის ყველაზე ნორჩი მონაწილე ხუთი წლის ანანო ბაშელეიშვილია, რომელსაც დედა, მზე, ყვავილები და თავისი თავი დაუხატავს ფერადი ფანქრებით და თავისი ტყუპი ძმების, 9 წლის ნიკუშას და მიშიკოს ნამუშევართა გვერდით გამოუფენია.



უდავოდ კეთილშობილი თაოსნობაა ამდენი ნიჭიერი ბავშვის ნახელავის ერთად ხილვა. ყოველივე ამის ორგანიზატორია საქართველოს მხატვართა კავშირი „ხელოვანი“, რომელიც ორი წელია რაც არსებობს და წელიწადში ორჯერ ახერხებს ნორჩი მხატვრების გამოფენის მოწყობას. ეს ბავშვები ამ კავშირთან არიან გაერთიანებულნი და მათ პროფესიონალი მხატვრები ეხმარებიან გამოფენების გამართვაში, სხვადასხვა ქვეყნებთან შემოქმედებით კავშირების დამყარებაში. ყმაწვილები თბილისის რამდენიმე სკოლასთან ჩამოყალიბებულ სტუდიებში დადიან. მათ კურირებას უწევენ 23-ე სკოლის პედაგოგები მაია კაციტაძე და იზა თავაძე. ბავშვებთან მეცადინეობენ უშანგი ლონდარიძე, მარიკა ლელაშვილი, დიანა მიქაძე, მარინე შალამბერიძე, მანანა სიხაშვილი, ჯინა ბერიაშვილი. მათი ხშირი სტუმრები არიან ცნობილი მხატვრები ჯოვანი ვეფხვაძე, გენადი ბერსენაძე, ნოდარ ლოლობერიძე.

საგულისხმოა, რომ შარშან 27 ბავშვი თურქეთს ეწვია, მათ ქალაქ ალანიაში მოწყობილ გამოფენაში მიიღეს მონაწილეობა, საიდანაც დიპლომებითა და სიგელებით დაბრუნდნენ.

– ბავშვებს მოზღვავებული ნიჭი აქვთ, საითაც გავუღვივებთ, ყმაწვილიც იმ მიმართულებით ივლის. ვცდილობთ ჩვენი მხრიდან ყველანაირი საშუალება მივცეთ პატარებს თავიანთი ნიჭი და უნარი გამოავლინონ, ცხოვრების ასპარეზზე გავიდნენ, – აღნიშნა გამოფენის გახსნისას საქართველოს მხატვართა კავშირ „ხელოვანის“ თავმჯდომარემ, მხატვარმა-დიზაინერმა ნოდარ რურუამ, – ჩვენ დიდად მადლიერი ვართ ხელოვნების მუშაკთა სახლის დირექტორის, ქალბატონ ციცო ჯაფარიძისა, რომელმაც უსასყიდლოდ დაუთმო დარბაზი ნორჩი მხატვრების ხელოვნებას.

**რუსუდან მუხაძე**

**სურათებზე: 5 წლის ანანო ბაშელეიშვილი ნამუშევრებთან; ნორჩი მხატვრების თამარ ბებიას „სვანეთი“, საბა გოგიბერიძის „ძველი თბილისი“.**

◉ ინფორმაცია

## ყაჩაღური თავდასხმა ჩხორიაში

**ყაჩაღური თავდასხმა მოხდა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიაში, რამინ თორდიას ოჯახზე.**

**თავდასხმის დროს სახლში რამინ თორდია და მისი 80 წელს მიღწეული მოხუცი დედა იმყოფებოდნენ.**

ხუთმა ნიღბიანმა და ავტომატებით შეიარაღებულმა პირმა სასტიკად აწამა რამინ თორდია, სცემს მოხუცი ქალბატონი. ისინი ძვირფას ნივთებსა და 5 000 დოლარს ითხოვდნენ.

მათ თან წაიღეს რამდენიმე საოჯახო ნივთი, ასევე 500 დოლარი, თორდია კი სკამზე მიბმული დატოვეს და დილით იგი შემთხვევით მეზობელმა იპოვა.



რამინ თორდია ამჟამად ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება. მას სასწრაფო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

## ხაჯიმბა ბაღაფშს დაეჯახა

**აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშსა და ე.წ ვიცე-პრეზიდენტს რაულ ხაჯიმბას შორის სერგეი ბაღაფშის კაბინეტში მწვავე დაპირისპირება მოხდა.**

როგორც სარწმუნო წყარო იტყობინება მოსკოვიდან დაბრუნებულმა სერგეი ბაღაფშმა ხაჯიმბა კაბინეტში დაიბარა. დაახლოებით ხუთ წუთის შემდეგ კი კაბინეტში ხმამაღალი კამათი დაიწყო, რაც ყვირილში გადაიზარდა.

ინფორმატორის ცნობით, ბაღაფშსა და ხაჯიმბას შორის დაპირისპირება ბაღაფშის მოწამვლის ფაქტის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ და მოწამვლაში რაულ ხაჯიმბას შესაძლო მონაწილეობამ გამოიწვია.

მისივე ინფორმაციით, კამათობდნენ იმ ფაქტზეც, რომ ბაღაფშის სოხუმში არყოფნის დროს ხაჯიმბა მისი დაცვის წევრებს სამსახურში არ უშვებდა.

**ინტერპრესნიუსი**

◉ გამოფენა

# ახალგაზრდობა იმარჯვებს

**ასოციაცია „ველო დოროში“ ელენე ფიცხელაურის, ქეთი დარსაველიძის, ეკა ტუხაშვილის, ნინო კაციტაძისა და სხვა ახალგაზრდა დიზაინერთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. ეს ხელოვანთა ამ გუნდისათვის მორიგი წარმატებული ნაბიჯია ქართული მოდა-დიზაინის სფეროში, თანაც უცხოელთა დიდი მოწონებითა და აღიარებით.** ერთ-ერთი ასეთი გამოფენა-ჩვენების დროს ქართველ დიზაინერთა ნიჭით, ნოვატორული ხედვითა და ეროვნული მოტივებით დახვეწილი ლავირებით მეტად მოიხიბლა იტალიური სამოდელო ორგანიზაციის „მედ მოდის“ პრეზიდენტი – მასიმო პასტორელო და ქართველ კოლეგებს თანამშრომლობა შესთავაზა. ეს ღონისძიება სწორედ ქართულ-იტალიურ სადიზაინერო სფეროში გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. პროექტის მხარდამჭერი ასოციაცია „ველო დოროს“ კოორდინატორი კლაუდიო დე ბიაზია, რომელიც არა მარტო შესანიშნავად ფლობს ქართულ ენას, არამედ სიღრმისეულადაც წვდება ქართული ხელოვნების დეტალებსაც. სწორედ ასეთმა სათუთმა დამოკიდებულებამ და სიყვარულმა წარმოშვა ქართული მოდა-დიზაინის ევროპულთან ინტეგრირებისა და ეროვნული გენიის ქვეყნის ფარგლებს გარეთ წარმოჩენის სურვილი.

„ეს ღონისძიება პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია წამოწყებულ საქმეში, რათა ქართველ დიზაინერებს მიეცეთ სტიმული და საფუძველი მომავალი განვითარებისათვის არა მარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც. დღევანდელი დღე იმის მანიშნებელია, რომ ქართული დიზაინი ძლიერი, განვითარებული და ორიგინალურია. უცხოურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ახალგაზრდებს საფუძველს მისცემს განავითარონ სასწავლო პროგრამები, ეზიარონ იქაურ სტანდარტს.

ივნისში დაგეგმილი გვაქვს დიდი ღონისძიების ჩატარება. გაიმართება სიცილიური კულტურის დღეები, რომლის ფარგლებში ხუთი სიცილიელი დიზაინერი, ვიზაჟისტი, სცენარისტი, რეჟისორი და პედაგოგი ეწვევა თბილისს“, – განაცხადა კლაუდიო დე ბიაზიმ.

„ველო დოროში“, რაც „ოქროს საწმისს“ ნიშნავს, ქართველი ხელოვნების მოყვარულებთან ერთად უცხოელმა სტუმრებსაც მოუყარეს თავი, კერძოდ იტალიისა და ავსტრიის გამყოფი ავტონომიური ოლქ – ალტარ ადიჯედან ჩამოსულმა სტუმრებმა, მათ შორის მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა კლაუს პლატომ, რომელმაც ქართულ ღვინოსთან ერთად ქართული დიზაინერული მიღწევებიც ჯეროვნად შეაფასა მის პირად კოლექციაში, რომელიც 3000-მდე ნამუშევარს ითვლის, ამიერიდან ქართველ დიზაინერთა ექსპონატებიც დაიმკვიდრებენ საკუთარ ადგილს.

**ნინო ბერძნიშვილი**



№ 85. პარასკევი. 4 მაისი. 2007 წელი.

● „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“, — მსოფლიო ბანკის თუ სავალუტო ფონდის ემისრები, ვალავის თუ ბარცელოვიჩის მსგავსი მათი ექსპერტები „შოკური თერაპიის- ათასნაირ რეცეპტებს გვთავაზობენ და არავის გვახსენდება ჩვენი უმდიდრესი და უძველესი ეროვნული მემკვიდრეობა



◉ წიგნი ჩვენი არსობისა

# სულიერი საზრდო „ნაკადულიდან“




**გამომცემლობა „ნაკადული“ ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის აგრძელებს სულიერი საზრდოს მიწოდებას.**

ბოლო ხანს დაიბეჭდა შემდეგი წიგნები: „ქართული მწერლობა“ 26-ე ტომი. მასში შესულია ეგნატე ნინოშვილისა და ჭოლა ლომთათიძის მოთხრობები. ტომის შემდგენელი და რედაქტორია ლეილა სულხანიშვილი.



„ქართული მწერლობა“, 27-ე ტომი. მასში წარმოდგენილია ივანე გომართელის, ფილიპე გოგიჩაიშვილის, გიორგი ლასხიშვილისა და სამსონ ფირცხალავას წერილები და მოგონებები. ტომის შემდგენელი და რედაქტორია მარი წერეთელი.

„ქართული მწერლობა“ 28-ე ტომი. აქ წარმოდგენილია კიტა აბაშიძის ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური ნაწერები. ტომის შემდგენელი და რედაქტორია გიორგი აბაშიძე, ტომების გამოცემის ხელმძღვანელი მერი ფანჯავიძე.

პამელა ტრავერსის „მერი პოპინსი“ — ფანტასტიკური მოთხრობა-ზღაპარი. ინგლისურიდან რუსულად გადმოაკეთა ბორის ზახოდერმა, რუსულიდან თარგმნა ლილი გოგოხიამ, ილუსტრაციები ეკუთვნის დეა ჯაბუას.

**ვახტანგ ცოტნიაშვილი**

# ერი და ინტელექტი,

## ანუ, „რამ გვიხსნა, რამ გადაგვარჩინა?..“

**ერის ყველაზე დიდი ძალა ინტელექტის ძალაა, და ერთდროულად, ჩვენი დიდი იმედიც ხვალინდელი დღისა, მთავარი, რაც ერის ინტელექტუალურ ძალებს ევალებათ დღეს, ამ ხვალინდელი დღის გააზრება და სტრატეგიული ხედვაა.**

ასეთი ასოციაციები უჩნდება მკითხველს, როცა ხელში იღებს პროფესორ **ომარ ქეშელაშვილის წიგნს** — „ინტელექტუალური საუბრები“. ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი: ეს არის ერთ-ერთი პირველი ცდა გარდამავალი პერიოდის პოლიტოლოგიური გააზრებისა, ანუ, იმის გათავისებისა, თუ — „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“. სწორედ ილია ჭავჭავაძის ეს ფორმულა, მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპების მეცნიერული კვლევა გვაძლევს მომავლის სტრატეგიული ხედვის საშუალებას. სარეცენზიო ნაშრომიც ამ ზოგადი სოციოლოგიური გააზრებით არის დაწერილი.




„ეკოლოგიისა“ არ იყოს, „გლობალიზმი“ სიტყვაა ახალი, თორემ აზრი და არსი „არახალია, ძველია“. ამ მხრივ პირველი „გლობალისტი“ ალბათ ალექსანდრე მაკედონელია. გლობალიზმი კაცმა რომ თქვას, მსოფლიოს ახალი სახეცვლილებაა, გზა და საშუალებაა ახალი ყოვლისმომცველი მსოფლიო იმპერიისა. ვინ იქნება ამ იმპერიის ავან-ჩავანი, არც ესაა ძნელი ასახსნელი და გამოსაცნობი: დასავლეთით ამერიკაა ამ პრეტენზიის მატარებელი, აღმოსავლეთით — ჩინეთი. XXI საუკუნე გადაწყვეტს, თუ ვინ წაიყვანს ალლუმს III ათასწლეულის მსოფლიო განვითარებაში.

მაგრამ ჩვენ? ჩვენც თუ ვიქნებით ამ ალლუმის მონაწილენი? ეს დამოკიდებულია მხოლოდ ჩვენზე და სხვა არავისზე, რამეთუ — „ჩვენს იქით ჩვენი ხსნა მხოლოდ ტკბილი სიზმარია“.

პროფესორ ომარ ქეშელაშვილის მონოგრაფია კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ჩვენს ისტორიას და ქართველ ერს ნამდვილად აქვს თავისი დიდი შინაგანი ძალა და ინტელექტუალური პოტენციალი ღირსეულად უპასუხოს XXI საუკუნის გლობალისტურ გამოწვევებს და თვითონვე გაკვალოს თავისი სამომავლო გზა, ოღონდ ეგაა, რომ ამ ძალას და პოტენციალს ამოქმედება უნდა. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ „ჩვენი თავის ჩვენად ყუდნებას...“

როცა თეოდორ ჰერცლმა 1895 წელს გამოსცა თავისი განთქმული წიგნი — „ებრაული სახელმწიფო“, სწორედ მაშინ ილიამ თავისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპების მოძიება დაამთავრა. ჰერცლმა, გირშმა, ბენ-გურიონმა ებრაული სახელმწიფო მალე იდეიდან საქმედ აქციეს, მაგრამ ჩვენ? ჩვენ როგორ ვექცევით ილიას და მისი თანამოაზრეების — არჩილ ჯორჯაძის, ნიკო ნიკოლაძის, გრიგოლ რობაქიძის, ივანე ჯავახიშვილის და სხვათა ნაფიქრ-ნაღვაწს?

„შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“, — მსოფლიო ბანკის თუ სავალუტო ფონდის ემისრები, ვალავის თუ ბარცელოვიჩის მსგავსი მათი ექსპერტები „შოკური თერაპიის- ათასნაირ რეცეპტებს გვთავაზობენ და არავის გვახსენდება ჩვენი უმდიდრესი და უძველესი ეროვნული მემკვიდრეობა. სარეცენზიო წიგნის მარტო სარჩევს თუ გადავავლებთ თვალს, მის 12 თავსა და ასამდე პარაგრაფში უამრავი ფაქტობრივი მასალაა ამის დასტური.

**ელბერტ ბატიაშვილი**

◉ მეზობლებთან

# თეთრსა და შავს... ისტორია გამოაჩენს

**ჯერჯერობით რთული შესაფასებელია ბორის ელცინის ისტორიული გადაწყვეტილებები. საბოლოო მსჯავრი განსვენებულს ისტორიამ უნდა გამოუტანოს. ამჟამად კი მინუსები და პლუსები პოლიტოლოგებმა ძირითადად ასე გაანაწილეს.**

**შეცდომები:** 1991 წელი — ბელოვეჟსკის შეთანხმებათა ხელმოწერა, სსრ კავშირის ლიკვიდაცია; 1992 წელი — ფასების აშვება, მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი დაწევა, ვაუჩერული პრივატიზაცია; 1993 წელი — „თეთრი სახლის“ დაცხრილვა, სადაც რუსეთის ფედერაციის ამბოხებული უმაღლესი საბჭო თათბირობდა; 1994 წელი — ჩეჩნეთში ჯარების შეყვანა; 1995 წელი — მრეწველობის რეკორდული დაცემა 1991 წლის დონიდან 50 პროცენტამდე; 1996 წელი — საგირაო აუქციონები, რომლებმაც მილიონერებს უდიდესი სახელმწიფო საწარმოების შესყიდვისა და ოლიგარქებად გახდომის საშუალება მისცეს; 1997 წელი — თვალის დახუჭვა „შვიდბანკირკაცას“ — ოლიგარქთა მცირე ჯგუფის შექმნაზე, რომელიც რეალურად მართავდა ქვეყანას; 1998 წელი — დეფოლტი, რუსეთის ფინანსური სისტემის კრახი.

**მიღწევები:** 1991 წელი — სახელმწიფო საგანგებო მდგომარეობის კომიტეტის განადგურება, ფოროსიდან (ყირიმი) მიხეილ გორბაჩოვის გამოხსნა; იგივე წელი — პრესაში ცენზურის გაუქმება; საბაზრო ეკონომიკის აგება; დემოკრატიულ თავისუფლებათა შემოღება და თანმიმდევრული შენარჩუნება; სკკპ-ის აკრძალვა და იმავდროულად კომუნისტების შეუვიწროებლობა (რამაც შესაძლო გახადა ამ პარტიის ცივილიზებული გარდაქმნა რუსეთის ფედერაციის კომუნისტურ პარტიად); 1992 წელი — მაღაზიების დახლთა ავსება, ბინების პრივატიზება — მილიონობით მოქალაქე უფასოდ გახდა თავისი საცხოვრისის მესაკუთრე; 1933 წელი — რფ-ის ახალი კონსტიტუციის მიღება; 1999 წელი — ვლადიმერ პუტინის დანიშვნა რფ-ის პრემიერ-მინისტრად, ვადამდელი ნებაყოფლობითი წასვლა რუსეთის პრეზიდენტის პოსტიდან.

**„სრ“ რედაქციისაგან: ყველას გვახსოვს, რომ ბორის ელცინის ქმედებები ამა თუ იმ წილად საქართველოზეც აისახა და წინამდებარე მასალის გამოქვეყნებაც ამიტომ ვცანით შესაძლებლად. გარდა ამისა, შეცდომებს, ჩვენის აზრით, უთუოდ უნდა დავუმატოთ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სეპარატისტებისათვის რუსეთის მხრივ მხარდაჭერის წაყრუება (ეს კიდევ რბილად ნათქვამია). პირველი პირისაგან, სხვათა შორის, მომხდარში პასუხისმგებლობის წილი თვით ბორის ელცინმაც აღიარა თბილისში ვიზიტის დროს...**

# რას ტოვებენ პირველები?

**განსვენებული ბორის ელცინისაგან მრავალრიცხოვან ნათესაობას მემკვიდრეობად ხვდა უფასო სამედიცინო და სანატორიუმულ-საკურორტო მკურნალობა, ორი ბინა ოსენნაიას ქუჩაზე, ორი მიწის ნაკვეთი გორკი-9-ში (საერთო ფართობი 4 ჰაძ და აგარაკი (მაქსიმ გორკის ყოფილი), ზედაც პრეზიდენტის რეზიდენცია ბარვიხა-4.**



გორკის ნაკვეთები რუსეთის პირველი პრეზიდენტის საკუთრებად იქცა ჯერ კიდევ 1995 წელს, როცა ისინი ოდინცოვოს რაიონის ადმინისტრაციის მეთაურმა დაუკანონა. აი, ბარვიხის რეზიდენცია კი, სადაც ბორის ნიკოლოზის ძე უკანასკნელ დღეებამდე ცხოვრობდა, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ოჯახს ეგებ არც დარჩეს, რამდენადაც ეს ტერიტორია მუდმივ მფლობელობაში სწორედ ექს-პრეზიდენტს გადაეცა და არა იმის ნათესაობას — თუკი მოქმედი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი რაიმე სპეციალურ განკარგულებას არ გამოსცემს.

სახელმწიფო სათათბიროს ყოვლისგამრჩევი დეპუტატი ალექსეი მიტროფანოვი ფიქრობს, რომ არავინ არ დაუპირებს ნაინა იოსების ასულს (განსვენებულის ქვრივს) ბარვიხიდან გამოსახლებას. დაუტოვებენ სახელმწიფო აგარაკსაც, დაცვასაც და სხვა დანარჩენ შეღავათებსაც, ბორის ელცინის პენსიასაც კი (რაც ახლანდელი პრეზიდენტის განაკვეთის 75 პროცენტს შეადგენს და თვეში 5 200 ლარზე მეტის ტოლფასია).

**რუსული პრესის მიხედვით**

◉ ინფორმაცია

## სოციალური შეღავათები მერიის მანქანებს შეეწირა

**ლეიბორისტული პარტია ქუთაისში სოციალური შეღავათების გაუქმებას აპროტესტებს.**

ქუთაისში გუშინ გამართულ ბრიფინგზე საკრებულოს ლეიბორისტმა წევრმა სამსონ გუგავამ მოღალატური უწოდა ადგილობრივი მთავრობის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც ბიუჯეტიდან ამოღებულია უმწეოთა, სოციალურად დაუცველთა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების თანხები.

სულ ბიუჯეტში ამ კუთხით 960 000 ლარი იყო გათვალისწინებული. ამასთანავე, გაუქმდა სამედიცინო მომსახურების ერთჯერადი დახმარებებიც.

სამსონ გუგავას განცხადებით, „ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როცა მერია ხუთი ავტომანქანის შეძენას აპირებს და ამისთვის თანხა უკვე გადახდილი აქვს“.

**ინტერპრესნიუსი**

**სს „ოქროს თასის“ აქციონერთა საყურადღებოდ!**

**2007 წლის 1-დან 31 მაისამდე გთხოვთ გაიაროთ განმეორებითი რეგისტრაცია ლესელიძის ქ. №28-ში. შემდგომში პრეტენზიები არ მიიღება.**

**სს „ოქროს თასის“ დირექცია**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

**შორენა, თამაზ პატარიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან და თანაუგრძნობენ ირაკლი ფალავას დედის, უსათნოესი მანდილოსნის ელიკო შოშიაშვილის გარდაცვალების გამო.**

**გურამ, მაია ახალაიები ოჯახით მწუხარებით იუწყებიან უფროსი მეგობრის, დიდი შემოქმედის, უკეთილშობილესი ინტელიგენტის, ჭეშმარიტი მამულიშვილისა და ყველასათვის უსაყვარლესი პიროვნების თენგიზ ღვინიაშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.**

**სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სოკრატ მაისურაძე და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

№ 85. პარასკევი, 4 მაისი, 2007 წელი.

# ბოლო გვერდი

● მომავალი კვირის ორშაბათიდან პური 55 თეთრი ეღირება, ზაფხულისთვის – 60–70 თეთრი, წლის ბოლოსთვის კი – ერთი ლარი





## ◉ ინფორმაცია

### თავისუფალი პროფკავშირები – განათლების სამინისტროს წინააღმდეგ

**საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირების ლიდერმა მანანა ღურჭუმელიძემ განათლების სამინისტროს წინააღმდეგ პრესკონფერენცია ქუთაისში გამართა.**

მისი განცხადებით, დირექტორების შესარჩევი კონკურსი, რომელიც ორ ეტაპად უნდა ჩატარებულიყო, გაურკვეველი მიზეზების გამო შეჩერდა.

ღურჭუმელიძის თქმით, ისინი კატეგორიულად ითხოვენ პასუხს, რატომ დაირღვა პედაგოგთა უფლებები.

ასევე ღურჭუმელიძემ გააპროტესტა ქუთაისში რესურს-ცენტრის თანამშრომელთა საქმიანობა.

მისი თქმით, კომისიის წევრები დირექტორთა შესარჩევ კონკურსს სრული შემადგენლობით არასდროს ესწრებოდნენ.

**ხი-ეიჩ-ენი**

### პურის ფასი ლარამდე აიწევს?

**მომავალი კვირის ორშაბათიდან პური 55 თეთრი ეღირება, ზაფხულისთვის – 60–70 თეთრი, წლის ბოლოსთვის კი – ერთი ლარი.**

ამის შესახებ ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე თქმით, ხელისუფლება ცდილობს, ხალხს საზრდო მოუსპოს და ამ მიზნით უკან არაფერზე იხევს.

შატბერაშვილის განცხადებით, პურის გაძვირება გაზის ტარიფის ზრდამ გამოიწვია.

– სააკაშვილი და მისი ბანდა ცდილობს, ხალხს ყველანაირი საარსებო პირობა მოუსპონ. ეს ხალხი წაიყვანს მას ხელისუფლებიდან და მოათავსებს ციხეში, რადგან სააკაშვილი არის დამნაშავე საკუთარი ერის წინაშე, – აღნიშნა იოსებ შატბერაშვილმა.



მისივე თქმით, თუკი მოსახლეობა არ დადგა ერთად, პურის მსგავსად გაძვირდება სხვა სასურსათო პროდუქტებიც.

ლეიბორისტები მოუწოდებენ მოსახლეობას, ერთად აიმაღლონ ხმა სოციალური სიდუხჭირის, უკანონობისა და უსამართლობის წინააღმდეგ.

მანვე მოსახლეობას 10 მაისს, 15 საათზე პარლამენტის წინ საპროტესტო აქციაზე მისვლისკენ მოუწოდა, „რათა პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომა მოითხოვონ“.

**ინტერპრესნიუსი**

## ◉ „დრო, დრო აღნიშნე!“

### მეოცე საუკუნის ფოტომატიანეს წარმოგვიდგენს ფოტოჟურნალისტი გივი ვახტანგაძე



ვინ ვინ და, ცნობილმა ავიაკონსტრუქტორმა, ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა, ლეგენდარული „იაკების“ შემქმნელმა ალექსანდრე იაკოვლევმა (სურათზე მარცხნივ) კარგად იცოდა თბილისის საავიაციო ქარხნის მნიშვნელობა და მისი დირექტორის, სოციალისტური შრომის გმირის იაკობ ხვედელიანის პროფესიონალიზმის ფასი. ამიტომაც სიამოვნებით გადაიღეს მათ ერთად სურათი კრემლის ყრილობათა სასახლეში.

## ◉ როგორს ვაშენებთ?!

### ღმერთმა ნუ ქნას, თბილისის აეროპორტს დაემსგავსოს

**ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის გახსნა 21 მაისისთვის გადაიდო. ამის შესახებ აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თემურ დიასამიძემ განაცხადა.**

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტს თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯებ ტაიპ ერდოღანი და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გახსნიან.

აღსანიშნავია, რომ აეროპორტში აშენდა ახალი სამგზავრო ტერმინალი, სახანძრო სადგური და სანაპირო ზოლის დამცავი კედელი; ასევე აშენდა სანავიგაციო კოშკურა და დამონტაჟდა ახალი შუქმანიშნი მოწყობილობები, განხორციელდა ასაფრენ-დასაფრენი ზოლისა და ბაქნის რეკონსტრუქცია, მოეწყო ორი სამიმოსვლო ბილიკი, ავტომანქანების სადგომი და სააეროპორტო ინფრასტრუქტურა. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, მშენებელმა კომპანიამ მთლიანად 28,5 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა.

ბათუმის ახალი აეროპორტი დამატებით მოემსახურება თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონიდან საერთაშორისო მიმართულებით მოძრავ მგზავრებს.

**ხი-ეიჩ-ენი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-96-32; 899 328576

## ◉ ლარის კურსი

**4 მაისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,9574 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,6890 ლარი |
| ევრო | 1 | 2,3033 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0658 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9537 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4731 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3719 ლარი. |

## ◉ ანეკდოტები

– გუშინ სამსახურიდან სახლში დავბრუნდი და ცოლს ვიღაც ფრანგთან წავასწარი?!

– მერე რა უთხარი?

– რა უნდა მეთქვა, მე ხომ სკოლაში ინგლისურს ვსწავლობდი.



* * *

– გაბმით სმა გტანჯავთ, არა?

– რას ამბობთ, ექიმო, მტანჯავს კი არა, მატკბობს.

* * *

– ექიმო, შემთხვევით ბატარეა გადავყლაპე. ახლა რა მელოდება?

– ელექტროსკამი.

* * *

მიხო მკითხავთან მივიდა, მიმარჩიელე, მომავალში რა მელისო. მკითხავმა კარტი გაშალა:

– გაფრთხილებთ, გზაზე ვიღაც კაცი გადაგიდგებათ!

– უმჯობესია, ის ვიღაცა გააფრთხილოთ. მე „კამაზის“ მძღოლი ვარ!

* * *

– ო, ჩვენ უკვე საქორწინო ტორტი გავჭერით!

– როგორ თუ, გაჭერით?! იქიდან ხომ სიდედრი უნდა ამომხტარიყო!!!

* * *

გოგო ბიჭს ეცნობა:

– მე მოდელი ვარ, – ეუბნება.

– ჰო? რომელი წლის გამოშვება?

* * *

იაპონიაში გამოიგონეს რობოტი, რომელიც ქურდებს იჭერს. იაპონიაში მან სულ რაღაც ხუთ წუთში 100 ქურდი გაბაწრა, ინგლისში იმავე ხუთ წუთში – 150, საქართველოში კი ხუთ წუთში ის რობოტი ვიღაცამ მოიპარა.

* * *

მიხო სკოლიდან სულ ერთიანად ამოთხვრილ-ამოგანგლული, ჩამოძონძილი და ჩალურჯებული დაბრუნდა.

– რა მოგივიდა? – შეეკითხა მამა.

– რა ვიცი, ქიმიის გაკვეთილზე ყველა ნივთიერება ერთმანეთში ავურიე და...

– და კვლავ მიბარებენ სკოლაში, არა?

– წადი, თუ ნანგრევებში სიარული მოგწონს!..

* * *

– აი, ბურღიც გამიტყდა... როგორც ჩანს, მომიწევს ცოლისთვის სარვამარტოდ ახალი ბურღის ჩუქება.

## ◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14.
ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“ ქიზიყის ქ. № 12.
ტ: 899 797679; 98-96-32.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
კონსტანტინე გურგენიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.